# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 7 მაისი. 2019 წ. №89 (8755) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## ზუგდიდელებო, ვაშინერს!

### მირონ ხერგიანი

## მორიელების შემოსევა საქართველოსა და ზემო სვანეთში

4

## ქართული კულტურის ② იდენტობა ევროპულთან

## „როსნეფტი“ საქართველოში მონოპოლისტი ხდება?! ⑤

3

## პარადოქსი: ეკონომიკა და სიღარიბე პარალელურად იზრდება!!!



3

## ქრთამის აღების ფაქტები სამ თვეში 88.89 პროცენტით გაიზარდა

## შეაჩერე კორუფცია!

## ოემიერლან მაჩალიკაშვილის საქმეზე გამოძიება ორ თვეში დასრულდება

საქართველოს პროკურატურა თემირლან მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება 2017 წლის 26 დეკემბერს ახმეტის რაიონში, სოფელ დუისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, სამსახურებრივი უფლებამოსილების, იარაღის გამოყენებით, შესაძლო გადამეტების ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

ამ ეტაპზე საქმეზე ჩატარებულია მთელი რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

გამოძიებამ გამოჰკითხა არაერთი პირი, მათ შორის, თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრები, მეზობლები. ასევე გამოკითხულია საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ყველა პირი (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები).

გარდა ამისა, თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების მოთხოვნით, მათი და მათ მიერ მოწვეული ექსპერტების უშუალო მონაწილეობით ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება. ამასთანავე, გამოძიების ყველა ეტაპზე, საგამოძიებო ორგანოსა და აღნიშნულ პირებს შორის აქტიურად მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს კომუნიკაცია. ოჯახის ინტერესების დამცველი ადვოკატები არაერთხელ გაეცნენ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს.

ამავდროულად, საქმეზე დანიშნულია კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა თემირლან მაჩალიკაშვილისთვის ჩატარებული სამედიცინო დახმარების დროულობისა და ადეკვატურობის დასადგენად, რომელიც დღეის მდგომარეობითაც არ დასრულებულა.

ამჟამად, მოცემულ საქმეზე კვლავ ინტენსიურად ტარდება ყველა საჭირო და შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა გამოძიება დასკვნით ეტაპზეა და უახლოესი 2 თვის განმავლობაში მიღებული იქნება შემაჯამებელი გადაწყვეტილება“, — აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## სომხეთიდან სახიფათო ნარჩენების გატანაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა!

9

# საქართველოს არსი, ისტორია, წარსული და მომავალი...

**საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ფორუმზე „საქართველო, ევროპა“ სიტყვით გამოვიდა, რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა.**

სალომე ზურაბიშვილმა ქართული კულტურის მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველო ევროპის ნაწილია და კულტურის განვითარებაში საქართველოს მთავარი მხარდამჭერი სწორედ ევროპაა.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, კულტურა საქართველოს არსი, ისტორია, წარსული და მომავალია.

**„ის, რომ საქართველო, საუკუნეების განმავლობაში, უამრავ შემოტევას გადაურჩა, ეს სასწაული სწორედ ევროპულ, ქრისტიანულ კულტურასთანაა დაკავშირებული. თუ დღეს უცხოეთში და პირველ რიგში, ევროპაში საქართველოს ცნობენ, ეს სწორედ ქართული კულტურის დამსახურებაა. კულტურა ჩვენი დიდი ძალა, მონაპოვარი და რესურსია. ჩვენ არ ვართ ბუნებრივი რესურსებით — ნავთობითა და გაზით მდიდარი ქვეყანა, მაგრამ გვაქვს კულტურა. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, ჩვენთან შემოვიდა ევროპული კულტურა თავისი კანონმდებლობითა და წესრიგით, რამაც განაპირობა ჩვენი დღევანდელი განვითარება და საქართველოს დემოკრატიულ წარსულში დაბრუნება. ამ მიმართულებით ევროპა საქართველოს მხარდამჭერია, მაგრამ ეს არ არის ცალმხრივი გზა. ჩვენც შევდივართ ევროპის კულტურაში და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სრულყოფილად შევიდეთ იმ კულტურულ სივრცეში, რომელსაც ვეკუთვნით. შესაძლოა, ბოლომდე არ ვიყოთ მზად, სხვადასხვა მიმართულებებით, იმისათვის რომ ევროპული სივრცის სრულყოფილი ნაწილი გავხდეთ, მაგრამ, რაც შეეხება კულტურას, ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ და უნდა ვიყოთ აღიარებული, როგორც მისი ნაწილი. ეს ჩვენი ურთიერთობების წინაპირობა და ძირითადი მოთხოვნაა. ეს ჩვენი მოსახლეობისა და საზოგადოებისთვის ყველაზე ნათელი ნიშანი იქნება იმისა, რომ ჩვენ რაღაც შორეულ პერსპექტივას კი არ ველოდებით, არამედ უკვე დღეს ვართ ევროპა, ევროპის კულტურის ნაწილი, ხვალ კი, ვიქნებით ევროპის სრულყოფილი წევრი“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

# თვალსაჩინოა ქართული კულტურის იდენტობა ევროპულ კულტურასთან

**საქართველო ევროპის კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია, ჩვენი ქვეყანა მუდამ იყო, არის და იქნება ამ სივრცის ორგანული და ჰარმონიული შემადგენელი,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ პროექტის — „საქართველო, ევროპა“ გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა საქართველოს უძველეს, უნიკალურ კულტურასა და ტრადიციებზე და მრავალწლიან ისტორიაზე ისაუბრა, რაც, მისი თქმით, ქვეყნის განსაკუთრებულობას განაპირობებს.

**„ქართულ კულტურას საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა მრავალფეროვანი ისტორია, რამაც უზრუნველყო ძლიერი ეროვნული თვითმყოფადობა და ხელი შეუწყო საქართველოში კულტურის განსაკუთრებულობის აღქმას. სრულიად განსაკუთრებულია ჩვენი გეოგრაფიაც, ევროპისა და აზიის შესართავზე, საქართველო საუკუნეების განმავლობაში თამაშობდა ერთგვარი ხიდის როლს. ჩვენი ნებისმიერი სტუმრისთვის პირველივე შეხედვით თვალსაჩინო და ნათელია ქართული კულტურის იდენტობა ევროპულ კულტურასთან, რადგან ჩვენ საერთო საყრდენი — საერთო კულტურული ფასეულობები და ღირებულებათა სისტემა გვაერთიანებს. სწორედ ამიტომ აღვნიშნავ, რომ ქართველი ერის არჩევანი, გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, არ არის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი, ეს არის ცივილიზაციური არჩევანი“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მასშტაბური პროექტი „საქართველო, ევროპა“ საერთაშორისო ფორუმით — „კულტურათა კავშირი — საქართველოსა და ევროპის შემოქმედებითი მომავლის განვითარება“ გაიხსნა. პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ ფორუმით დაიწყება დიალოგების სერია, რომელიც შეკრებს სხვადასხვა ევროპულ კულტურას და ევროპულ კულტურათა ამ მრავალფეროვნებაში ქართული კულტურის როლს წარმოაჩენს. მთავრობის მეთაურის დავალების შესაბამისად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ამ მიმართულებით აქტიური ნაბიჯების გადადგმას მომავალშიც განაგრძობს და კამპანია „საქართველო, ევროპა“ ტრადიციული გახდება.

მამუკა ბახტაძის შეფასებით, საჭიროა მეტი საუბარი და აქტიურობა იმის შესახებ, რომ საქართველო ევროპული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია და მსგავსი ფორუმები ამ ფილოსოფიის განმტკიცებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

**„2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა, სადაც წარმატებით წარმოჩინდა ჩვენი კულტურა. უკვე წლებია, რაც ქართველი მწერლები აქტიურად მონაწილეობენ მრავალ საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე, მათ შორის, ლონდონსა და ლაიფციგში. ეროვნული პავილიონით ვმონაწილეობთ აგრეთვე ვენეციის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე. ასევე ყოველწლიურად იმართება თანამედროვე ქართული ფილმების ჩვენებები კანის, ბერლინის, ლოკარნოს, სან სებასტიანისა და სხვა მნიშვნელოვან ფესტივალებზე. განსაკუთრებული სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო 2021 წელს უმასპინძლებს ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების ფორუმს, ხოლო 2022 წელს ცნობილი ევროპული კულტურული ფესტივალი „ევროპალია“ (Europalia) სწორედ ჩვენს სამშობლოს მიეძღვნება. აგრეთვე 2022 წელს საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგება პარიზის წიგნის ბაზრობაზე. ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს ჩვენი მოქალაქეების წარმატება საზღვარგარეთ. ჩვენმა ხელოვანებმა უკვე დაიმკვიდრეს გამორჩეული ადგილი მსოფლიო სახელოვნებო სივრცეში. დიდი პოპულარობით სარგებლობენ ოპერის, ბალეტის, სახვითი თუ საშემსრულებლო ხელოვნების წარმომადგენლები. საქართველო პირველი ქვეყანაა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებიდან, რომელიც 2015 წლიდან „შემოქმედებითი ევროპის“ პროგრამაში გაერთიანდა. საერთაშორისო კულტურულ განზომილებაში საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი ფესტივალების, კულტურული ტურიზმისა და შემოქმედებითი ეკონომიკის განსავითარებლად. ჩვენი უპირველესი ამოცანაა საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის ცნობადობის ზრდა, კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავება, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ფორუმზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა,** განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ბატიაშვილმა,** ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩმა საქართველოში **კარლ ჰარცელმა** და „იუნესკოს“ მშვიდობის არტისტმა **ელისო ბოლქვაძემ.**

მასშტაბური პროექტი „საქართველო, ევროპა“ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით განხორციელდება. პროექტის მთავარი მიზანია საქართველოს, როგორც უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ევროპული ქვეყნის იმიჯის ამაღლება, ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა — ქვეყნის, როგორც სანდო და ძლიერი პარტნიორის პოზიციონირება საერთაშორისო ასპარეზზე. პროექტი პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებთან თანამშრომლობით კულტურული პროგრამების განხორციელებას გულისხმობს. პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება გაიმართება, მათ შორის, ფესტივალები, საერთაშორისო გამოფენები, კონცერტები და ა.შ.

# ხონი დიდი ენერგიის ქალაქი გახდება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხონში, სახალხო დღესასწაულს დაესწრო, სადაც ის ხონის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

**„ჩემთვის ყოველი ჩამოსვლა ხონში არის ძალიან ემოციური, რადგან მე, როგორც ყველა ხონელი, განსაკუთრებით ვამაყობ ჩვენი ფესვებით. ხონი ეს არის უნიკალური კუთხე ჩვენი სამშობლოსთვის. ეს არის ულამაზესი კუთხე, რომელმაც ძალიან ბევრი საიდუმლო და ფასეულობა შეუნარჩუნა ჩვენს სამშობლოს“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ და ხონელებს დაჰპირდა, რომ წლის ბოლომდე ახალპროფესიული სასწავლებლის მშენებლობა დასრულდება და ასევე ხონში აშენდება თანამედროვე ახალგაზრდული ცენტრი.

**„გპირდებით, რომ ხონი საქართველოში იქნება ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, დიდი ენერგიით სავსე ქალაქი, სადაც გვეყოლება ბევრი ტურისტი და სადაც იქნება ნამდვილი იმერული სტუმარ-მასპინძლობა“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

# ირაკლი კობახიძემ საქართველოს მუსლიმ მოსახლეობას რამადანის დაწყება მიულოცა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საქართველოს მუსლიმ მოსახლეობას რამადანის დაწყებას ულოცავს.

**„ჩვენს მუსლიმ თანამოძმეებს ვულოცავ წმინდა რამადანის თვის დაწყებას! ჩვენ საერთო სამშობლო, ისტორია, სიხარული და მიზნები გვაერთიანებს. თქვენ ხართ უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილი ჩვენი ქვეყნისა და გამორჩეულ როლს ასრულებთ საქართველოს განვითარებაში. მწამს, რომ ჩვენ ერთად შევძლებთ საქართველოს გაძლიერებას და ჩვენი ქვეყნისთვის ღირსეული მომავლის შექმნას. საქართველოს პარლამენტის სახელით, კიდევ ერთხელ გილოცავთ რამადანის დაწყებას. მშვიდობას, კეთილდღეობასა და დღეგრძელობას გისურვებთ“,** — აცხადებს კობახიძე.

# ქართული პარადოქსი: ეკონომიკა და სიღარიბე პარალელურად იზრდება!!!

**„საქსტატის“ წინასწარი შეფასებით, მარტში ეკონომიკა 6%-ით გაიზარდა. ამასთან, ოფიციალური მონაცემებით, გასულ წელს ემიგრანტების რიცხვი 15.8 პროცენტით გაიზარდა და მათი რაოდენობა 98 935 კაცით განისაზღვრა. მოიმატა შემწეობის მიმღებთა და მთხოვნელთა რაოდენობამაც. თუკი მოსახლეობის ცხოვრების დონე არ უმჯობესდება, რაში გამოიხატება ეკონომიკური ზრდა?**

ეკონომისტები კარგა ხანია, ამბობენ, რომ მშპ-ს მატებას პირდაპირი გავლენა არა აქვს კეთილდღეობაზე. მეტიც, საქართველოში, პირიქით ხდება, ეკონომიკა ბოლო წლებში მუდმივად იზრდება და მის კვალდაკვალ მატულობს სიღარიბის დონეც.

**„როცა მოსახლეობა ქვეყნიდან გადის, როდესაც არის პრობლემები, ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. საბედნიეროდ, დღეს საქართველოში პოლიტიკური პრობლემები იმ სიმწვავის არ არის, რომ მასობრივი გადინება გამოიწვიოს, ხოლო სოციალ-ეკონომიკური პრობლემები რომ აქვს ქვეყანას, ამას სახელისუფლებო პარტიაც აღიარებს.**

**მძიმე მდგომარეობის ფონზე, რა თქმა უნდა, მოსახლეობა ცდილობს, მოძებნოს უკეთესი პირობები, სადაც შეძლებს დასაქმებას, ხოლო ვიზალიბერალიზაცია ამას ხელს უწყობს, მაგრამ ის რომ არ ყოფილიყო, ადამიანები სხვა ქვეყანაში წავიდოდნენ.**

**თითქოს გვაქვს ეკონომიკური ზრდა, რომელიც რეგიონში გამორჩეული და მაღალია, მაგრამ თუ ეკონომიკური ზრდაა, სად გარბის მოსახლეობა?! ამაზე არის მარტივი პასუხი. ეკონომისტები კარგა ხანია, დავობენ იმაზე, რომ ეკონომიკური განვითარების გაზომვა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით, რაც მიღებულია დღეს ოფიციალურად, არ არის ადეკვატური. მარტო ის, რომ ეკონომიკა იზრდება, ბევრს არაფერს ნიშნავს.**

**ბოლო წლებში ყველაზე დიდი მაღალი ტემპით იზრდება ფინანსური სექტორი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტ ვალს აიღებს მოსახლეობა, მეტად გაიზრდება ეკონომიკა, ანუ ნებისმიერი აქტიურობა, რომელიც არის საფინანსო სექტორში, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს მაღლა წევს. ეს სინამდვილეში ნიშნავს კეთილდღეობას? — რა თქმა უნდა, არა“,** — განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ აკადემიკოსმა **ლადო პაპავამ.**

პარალელურად „ახალი ეკონომიკური სკოლის“ წარმომადგენელი **გია ჯანდიერი** ამბობს, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში ეკონომიკა სინამდვილეში არ გაზრდილა. ამას მოწმობს დოლარში გაანგარიშებული საშუალო ხელფასი, მშპ და სავაჭრო ბალანსი, რომელიც იგივე ან უფრო ნაკლებია 2012 წელთან შედარებით.

**„შეიძლება, ლარში ხელფასი ნამდვილად იზრდება, თუმცა დოლარში გადაანგარიშებული იკლებს კიდეც. არ მგონია, რომ ამას ვინმე ვერ ამჩნევდეს. 2012 წლის ბოლოს საშუალო ხელფასი იყო 740 ლარი, რაც დაახლოებით 450 დოლარს შეადგენდა. ახლა, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ანაზღაურება მაშინდელზე ბევრად მეტია ლარში გადაანგარიშებით, ამ ნიშნულს ვერც კი ვუახლოვდებით, გაუმჯობესებაზე რომ არაფერი ვთქვათ.**

**მშპ-ც ასეა — 12 მლრდ-ია დოლარებში და თუ ვინმეს სერიოზულად ჰგონია, რომ საქართველოში შემომსვლელი რომელიმე ინვესტორი ლარში ნახულობს მონაცემებს, უბრალოდ, სასაცილოა. ყველაზე მძაფრი ინდიკატორი კი მიგრაციაა, არ მეგულება ოჯახი, რომელსაც ოჯახის წევრი თუ არა, ძალიან ახლობელი მაინც ემიგრანტი არ ჰყავს“,** — აცხადებს ჯანდიერი.

უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლეობა სახელმწიფოს მოწყალების მოლოდინშია. მარტო მარტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 5 ათასით გაიზარდა. თუკი დავეყრდნობით ინფორმაციას, რომ საქართველოში ერთ ოჯახში, საშუალოდ, 3,5 სული ცხოვრობს, გასაშუალებული სტატისტიკის მიხედვით, გამოდის, რომ თითქმის ყველა ოჯახი დახმარებას ითხოვს, მათგან 0,5 მლნ-მდე ადამიანი სოციალური შემწეობის მიმღებია.

სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით, **2019 წლის მარტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 4 982 ადამიანით გაიზარდა. მარტში სახელმწიფოსგან შემწეობას 451 132 ადამიანი იღებდა, რაც მთლიანი მოსახლეობის 12,1%-ს შეადგენს. თებერვალში კი ფულადი დახმარების მიმღებთა რიცხვი 446 150-ს შეადგენდა.**

**ამავე სტატისტიკის მიხედვით, საარსებო შემწეობის მიმღებთა ყველაზე დიდი რიცხვი თბილისშია, დედაქალაქში ფულად დახმარებას სახელმწიფოსგან 99 959 ადამიანი იღებს. მეორე ადგილზეა იმერეთი — 62 990 ადამიანი; ღარიბი მოსახლეობით სამეულში შედის სამეგრელო-ზემო სვანეთი, სადაც საარსებო შემწეობას 54 307ადამიანი იღებს.**

**გეძა დანელია**

# შეაჩერე კორუფცია!

## ქრთამის აღების ფაქტები სამ თვეში 88.89 პროცენტით გაიზარდა



**მაშინ, როცა 2018-2020 წლის სამთავრობო პროგრამის ძირითადი სლოგანი თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობაა, ქვეყანაში კორუფცია იზრდება, დანაშაულებრივი სტატისტიკა მზარდია და კრიმინალი სულ უფრო დაუძლეველი პრობლემა ხდება.**

2019 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტები 88.89%-ით გაიზარდა. კერძოდ, შს სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წელს ამ დანაშაულის — 34, ხოლო გასული წლის ანალოგიურ პერიოდში 18 ფაქტი გამოვლინდა.

რატომ იზრდება კორუფციის ერთ-ერთი მთავარი წყარო — ქრთამის აღება და რა პრევენციული ღონისძიებები ტარდება, ჩვენ ამ თემაზე ორგანიზაცია **„შეაჩერე კორუფციის“ დამფუძნებელს ძეთევან ენუქიძეს** ვესაუბრეთ.

ენუქიძე დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ შსს არ მალავს და ასაჯაროებს ქვეყანაში არსებულ რეალობას. სტატისტიკის სახით ღიად ამბობს, რომ საქართველოში დანაშაულებრივი სტატისტიკა მზარდია და მათ შორისაა კორუფციაც. ხელისუფლება დღეს სრულიად გამჭვირვალედ ავლენს სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღებ-მიცემობის ფაქტებს, მაგრამ მთავარ პრობლემას უგულებელყოფს — პრევენცია:

**„დღეს რომ ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა კრიმინალი, დანაშაული, კორუფცია, ამას უკვე აღარავინ მალავს. გახარიას სტრუქტურაც მუდმივად ამახვილებს ამ საკითხზე ყურადღებას და ეს მისასალმებელია. რატომ არ მალავენ სტატისტიკას? — მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა ცალკეული უწყებების უმოქმედობაზე მიანიშნებს, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ სიმართლე. თანაც ფიზიკურად ვეღარ დამალავენ, რომ ჩვენსავით ღარიბ ქვეყანაში სამოხელეო დანაშაული მაღალ ნიშნულზე იქნება. სხვა თემაა, რა ღონისძიებები ტარდება ამ უდიდესი პრობლემის მოგვარებისთვის“.**

პრევენციული ღონისძიებები რომ არ ტარდება, ენუქიძე ამაში დარწმუნებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველწლიურად მზარდი სტატისტიკა სხვადასხვა მიმართულებით არ დაფიქსირდებოდა. ფაქტია, პასუხისმგებელი საჯარო უწყებები თავიანთ უფლებამოსილებას ვერ ასრულებენ.

**„თუ პრობლემა არ გვარდება, არავის სჭირდება სტატისტიკის გამოვლენა. პრევენციის მიზნით კი არაფერი კეთდება. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება არა შსს-ს, არამედ სხვა უწყებებს (უსაფრთხოების სამსახური, ეკონომიკის სამინისტრო...), რომლებიც, ფაქტია, არაფერ მნიშვნელოვანს არ აკეთებენ. დავუშვათ, მუშაობენ ამ მიმართულებით, ფაქტია, მოქალაქეები შედეგს ვერ ვხედავთ“.**

გამოსავალს „შეაჩერე კორუფციის“ დამფუძნებელი სამი ძირითად მიდგომაში ხედავს, ესენია:

- ეკონომიკური პოლიტიკა — (აუცილებელია რეალური ეკონომიკური ზრდა და მოჩვენებითი, რათა ეს მოსახლეობაზეც აისახოს. ასეთ შემთხვევაში ადამიანები დანაშაულს ნაკლებად ჩაიდენენ;
- კორუფციული წყაროს გამოვლინება — მნიშვნელოვანია ცვლილებები მაღალ ეშელონებში. ნებისმიერი ტიპის დანაშაული ძირითადად ვლინდება ვიწრო დონეზე, დაბალ ეშელონებში. მთავარი პრობლემა კი უფრო მაღლაა და მნიშვნელოვანი თანამდებობების პირებს უკავშირდება;
- კონკურენციის კანონის გადახედვა და ამუშავება — დღეს ეს კანონი არის უმოქმედო, ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობა აუცილებელია.

**სალომე ლემონჯავა**

## შეიხი გვირჩევს, ემოციებს არ ავყვეთ!

სრულიად საქართველოს შეიხი რამინ იგიდოვი დავითგარეჯის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება და აზერბაიჯანულ და ქართულ მხარეებს მოუწოდებს, ნუ გააკეთებენ ორი ქვეყნის ურთიერთობების დამაზიანებელ ემოციურ განცხადებებს.

**„აუცილებელია, შეიქმნას ორმხრივი კომისია და ეს საკითხი ამ გზით გადაწყდეს. მე მოვისმინე მათ შორის სასულიერო პირების განცხადებებიც, რომელიც შემიძლია, ვთქვა, რომ იყო ემოციურ ნიადაგზე ნათქვამი. მნიშვნელოვანია, რომ ეს განცხადებები არ გააშუქა აზერბაიჯანულმა მედიამ, რადგან კარგად აქვთ გააზრებული, რომ ეს არ არის სახელმწიფოს პოზიცია. მოვუწოდებ ორივე მხარეს, თავი შეიკავონ ასეთი ტიპის განცხადებებისგან, რომელიც ქვეყნებს შორის ურთიერთობებს დააზიანებს“,** — განაცხადა შეიხმა.

## მიხეილ გიორგაძე გულნატკენია...

**წიგნის** პალატისა და მწერალთა სახლის გაერთიანების გამო გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე **მიხეილ გიორგაძე გამოეხმაურა.** მისი თქმით, მისთვის გაუგებარი და გასაკვირია ის ნეგატივი, რომელიც სსიპ-ების გაერთიანების გარშემო წარმოიშვა:

**„ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია და გასაკვირიც არის და ცოტა გულსატკენიც. ის ნეგატივი, რომელიც წარმოიშვა ამ საკითხების გარშემო. პირდაპირ ვამბობ, აი ჩემი აზრით კლასიკური მაგალითი სწორედ იმ „ფეიკ ნიუსის“, რომელზეც ამდენად პოპულარულია ამ ბოლო დროს საუბარი, სადაც ჩვენ ვსაუბრობთ რაღაცის გაუქმებაზე, რაღაცის დანგრევაზე და არა იმაზე, თუ რა იქმნება სსიპ-ების გაერთიანების საფუძველზე და რა სარგებელის მომტანი არის ან შეიძლება იყოს ეს... და ვიმსჯელოთ ამაზე და არა იმაზე, თუ რა დაინგრა და რა გაუქმდა“,** — განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

# ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲛᲝ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ

**„ᲑᲝᲠᲝᲢᲡᲐ ᲡᲫᲚᲘᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲐᲜ, ᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲐ!..“**

**ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ** **მცირე ამონარიდი კონსტანტინე გამსახურდიას ნოველიდან „ტაბუ“: „... ტუჩებზე ხელი მომაფარა: — ვაშინერს, მახა, ვაშინერს“... — ვაშინერს რაღაა, ნატი? — შენ მეგრული დაგვიწყებია, მახა... როგორ აგიხსნა? უსსენებელი, უთქმელი... — აა, ამას ტაბუ ჰქვია, ნატი. — ტაბუ რაღაა? — ტაბუ იგივეა, რაც ვაშინერს: უთქმელი, უსსენებელი...“**

ახლა, მთავარი სათქმელი:

გაგონილი გექნებათ, ამერიკაში ელექტროსკამზე დაამთავრა სიცოცხლე „ჯეკი მფატრავმა“ — სერიულმა მკვლელმა და მანიაკმა... მეტყვიან, ზემოთ მოხმობილ იმ მშვენიერ დიალოგთან ეს ყოველივე რა კავშირშიაო? რაში და... ქართველები უარყოფითში ტოლს არავის ვუდებთ, ის კი არა, სხვას კიდევაც უნდა გადავაჭარბოთ ხოლმე. აგერ, წინა დღეს „ასავალ-დასავალში“ სათაურით „მფატრავები“ უკრაინის სინამდვილიდან იმისთანა შემზარავი ამბები ამოვიკითხე, თმები რომ მქონოდა, ყალყზე დამიდგებოდა. მთელი უბედურება კი ისაა, რომ ყოველივე იქ მოთხრობილი უშუალო კავშირშია საქართველოსთან... თუმცა, ალბათ აჯობებს, გაზეთიდან მცირე ამონარიდებს გავეცნოთ და ყველაფერი ცხადი გახდება:

სააკაშვილს უთქვამს: „ჩემი ცოლი სანდრა ახლა უფრო მეტ ქველმოქმედებას ეწევა საქართველოში, ვიდრე ჩემი პრეზიდენტობის დროსო“.

ამას მოჰყვება დიქტორის კომენტარი (იგულისხმება სატელევიზიო გადაცემა): „საქართველოს ყოფილი პირველი ლედის „საქველმოქმედო“ საქმიანობის წყალობით, 2004-2013 წლამდე ეს ქვეყანა წამყვან ადგილს იკავებდა უცხოეთში ორგანოების გაყიდვით. მან კოსოვოსაც კი გაუსწრო“.

ამის შემდეგ უკვე უშიშროების სამსახურის ყოფილი მაიორი ყვება, რომ ომის დროს პროფესიონალ ტრანსპლანტოლოგ ელიზაბეტ დებრიუსთან მუდმივი სატელეფონო კავშირი ჰქონდა ორგანოებზე რეალურ შემკვეთს და ორგანიზატორს — სანდრა რულოვსს...

დიახ, საქართველოში მოყუჩებული ყოფილი პირველი ლედის ქმრისგან ნაქებ „უფრო მეტ ქველმოქმედებად“, ალბათ, ეს საზარელი საქმიანობა უნდა მივიჩნიოთ!.. იქვე ირკვევა, რომ ის თურმე უშუალოდაც მონაწილეობდა დაჭრილი მეომრების სპეციალურ სამედიცინო ცენტრებში გადაყვანაში, საიდანაც ცოცხალი არავინ დაბრუნებულა. მძიმედ დაჭრილებიდან არათუ შინაგან ორგანოებს, თვალებს და კანსაც კი იღებდნენო...

ამის წამკითხველს, მოდი და ნუ დაგიდგება თმები ყალყზე!..

აქვე მოვუსმინოთ გადაცემის წამყვან ალექსეი გოდოშნიკოვსაც:

**„სანდრა რულოვსს დიდი გამოცდილება აქვს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოს წამყვანი ადგილი ეკავა ევროპისა და ამერიკისათვის ორგანოების მიწოდების საქმეში. სააკაშვილის მეუღლემ შექმნა პენიტენციური სისტემიდან ორგანოების მიღების საკმაოდ ხელსაყრელი სქემა. პატიმრები ციხის საავადმყოფოებში ხვდებოდნენ, სადაც მათ ორგანობს აცლიდნენ...“**

მგონი, ყველაფერი ცხადზე-ცხადი, დღესავით ნათელია და „ჯეკი მფატრავიც“ ტყუილად არ მიხსენებია: აგერ, ბატონო, მისი მდედრობითი ვარიანტი საქართველოში პირმშვენიერი „ლედი მფატრავის“ სახით!.. თუმცა, ის ვიღაც ჯეკი აქაურთან რას მოვა? ის ურჩხული, რატომღაც, მხოლოდ მეძავებზე ნადირობდა, დაუცველ ფენაზე (ეგეთი დილიხორი ჰქონდა!) და, რაც მთავარია, ამით ბიზნესი არ უკეთებია. ამ ქალბატონის სამიზნე საქართველოში პატიმრები და უკრაინაში მეომრები აღმოჩნდნენ, თავისი ვაჟიშვილის ასაკის ჯან-ღონით სავსე, მაგრამ იმ მეძავებზე ბევრად დაუცველი და სრულიად უმწეო დაჭრილი ბიჭები. მთავარი კი ისაა, რომ ცივსისხლიან ქალბატონს ეს საქმიანობა შემოსავლის უზღვავ წყაროდ უქცევია და ამ ძვირფასი, დეფიციტური პროდუქტით ევროპასთან ერთად, ამერიკაც უმარაგებია.

ყოველივე ამის შემდეგ, უკვე აღარ მიკვირს სენატორ მაკკეინის მიერ „მარშალპრესის“ ფურცლებიდან ივანიშვილის მთავრობისადმი მუქარით შემონათვალი: „...როცა საქმე გვაქვს პრეზიდენტთან (იგულისხმება სააკაშვილი. **მ. ხ.**), რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის არამარტო საქართველოს, არამედ ამერიკის განვითარებაში... ის რიგითი მოქალაქისგან განსხვავებით პრივილეგირებულია და რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინა, მისთვის ბრალის წაყენება ყოვლად დაუშვებელია... მოგიწოდებთ გონიერებისკენ, რადგან თითოეული გადადგმული ნაბიჯი ბუმერანგის პრინციპით მოუბრუნდება თითოეულ ქართველს.“ საოცარია და ამას იმ ქვეყნის მძიმეწონიანი პოლიტიკოსი ამბობს, სადაც პრეზიდენტს იმის მეათასედსაც არ აპატიებდნენ, რაც სოციოპათმა სააკაშვილმა საქართველოში ჩაიდინა, მაგრამ, აი, თურმე რაში ყოფილა საქმე: ხელს ხელი დაუბანია!..

ასე რომ ჩემო კარგებო, ქართველებმა სააკაშვილს არათუ ბუზი არ უნდა ავუფრინოთ, „ამერიკის განმავითარებელ“ დიდ მიშას ფიანდაზები უნდა დავუფინოთ და „შენ ჩამოსვლას თან მზე მოჰყვაც“ ვუმღეროთ. აი, ასეთი მფარველების წაქეზებითაა, რომ სააკაშვილი იონჯას მიტანებული დაბმული ვირივით ჯიქურ იწევს საქართველოსკენ.

მე ისიც მახსოვს, ქალბატონმა რულოვსმა დანიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თავისი ქმარი სიძლიერით სტალინ-ბერიას რომ შეადარა, ქართველები გაგვლანძღა და ნიშნისმოგებით თქვა: „დიახ, ჩემი ქმარი ზუსტად ის ადამიანია, ვისიც ხალხს უნდა ეშინოდესო!“ მეუღლით ახლაც „ბუასავით“ გვაშინებს და საპასუხოდ მეც უნებურად ენაზე მადგება უწმინდურის განდევნა-დაშინების ძველი სვანური შელოცვა:

**„შაშილაად, ფუფულაად, ცხეკი ჰეერია,**
**ცხეკთაადე! ვეილშ ჰემა ხი —**
**ველთაადე!**
**ფუი, ვიჯი გეზალ, ხოლა ზნეში,**
**კინკი პატრონ —**
**ხითურ, ხიდან ნიშგვეი ხანქა...**
**ჯანდაბათეგ შუკ ჯარენა!“**

ქართულად ეს, დაახლოებით, ასე ჟღერს: „საშიშო, უწმინდურო, ალქაჯო ფუფალავ, შორს ჩვენგან, ბილწო და მაცდურო! გაქრი, გაუჩინარდი! თუ ტყიური ხარ, ტყეში დაიკარგე; თუ ველისა ხარ, ველში განქარდი! ფუი, გველის წიწილო, ბინძური ზნისა და საშოს პატრონო, შორს, გაეცალე აქაურობას, ჯანდაბამდეც გზა გქონია! “

ამ ჯადო სიტყვებმა ისევ სულმნათ კონსტანტინე გამსახურდიასთან დამაბრუნა და ასოციაციურად კვლავ მეგრული წიაღიდან ამოზრდილ მის საოცარ სამყაროში აღმოვჩნდი...

დიდი მწერალი მისანია, მისნური ალღოთი განჭვრეტს და ზოგჯერ სიმბოლო-მინიშნებებით გვამცნობს მომავალში მოსახდენსაც. „დიდი და პატარა ისე იყო დაშინებული, რომ ყველას პირზე ეკერა მორიელიო“ — გვუბნება და ნათქვამი იმდენად ზუსტად ემთხვევა სამეგრელოში შექმნილ ამჟამინდელ ვითარებას, რომ სიტყვათჩანაცვლების საჭიროებაც აღარაა.

დიახ, როგორც ქალაბიჭა, აკუმი ხვარამზე დაეხეთქებოდა ნათურქალის უსიერ სანახებში, ეს ქალბატონიც ისე დაძრწის მთელ სამეგრელოში; ტყეთა უღრანებში მარადიულ ექოდ დავანებული, გაუპატიურებული ბიჭების განწირული ღრიალი მეგრული „დიდოუ ნანას“ სიტკბოებით ჩაესმის და იმ ჟღალჩოხიანის მაცდური ხმითა თუ ღიმილით, ამომრჩევლებს კვლავ ეშმას ბადეში ახვევს...

რა მიმნდობი, მიამიტი ხალხი ვართ ქართველები!.. „ქმარი ცუდია და ცოლი კარგიო“ — იქ უკვე ბევრისგან გაიგონებთ და ვაშინერისგან მონუსხულებივით ივიწყებენ, რომ მგელი მგლობას არასდროს მოიშლის და სისასტიკე მომავალშიც ამ ცოლქმრული წყვილის „საფირმო ნიშანი“ იქნება.

გავიხსენოთ სხვაც: „ტაბუში“ ჟღალჩოხიანი სატანის და ჰერმაფროდიტი ხვარამზეს სექსუალური შერწყმის შედეგად იშვა მორიელი, რომელმაც სოფელ ნაჭყვედის მოსახლეობას მუსრი გაავლო. ესეც დიდი მწერლისგან საგანგაშო, სიმბოლური მინიშნებაა თანამედროვეთათვის: აკი ქოც-ნაცების კოჰაბიტაციური შერწყმითაც იშვა გარეწარი ნაბიჭვარი, დაუსჯელობით წახალისებული და თავგასული!..

ვეთანხმები გოგა ხაინდრავას „ჰეროკრატიის“ შემფასებელთა ერთ ნაწილს: ჩვენ ეს ფილმი „ლაივში“ გვაქვს ნანახი, მასში ასახული საშინელებაც ქართველმა ერმა საკუთარ ტყავზე გამოსცადა; მაგრამ ფილმის ყურებისას სხვა რაღაცაც ხდება: ხალხის რისხვა ძალაუნებურად მიმართულებას იცვლის, ქვეყნის ფარგლებს სცილდება, სხვა ადრესატისკენ, იმ გარეშე ძალისკენ მიემართება, „ქართულ ოცნებას“ ამგვარ კრიმინალურ რეჟიმთან კოჰაბიტაციური ჩახუტება რომ აიძულა და დღეს აც ყველაფერს აკეთებს სააკაშვილის უკან მოსაბრუნებლად. ყოველივე ამის შემდეგ, რატომ უკვირთ გამწარებული ხალხის ყველაზე უწყინარი ქმედება: — საელჩოებთან ფიტულების დაწვა?

სასწაულია და „ლედი მფატრავი“ თურმე ხალხის რჩეულად უნდა დაგვისკუპდეს პარლამენტში!.. და რა ვიფიქროთ, მისი პირველი საკანონმდებლო ინიციატივა რა იქნება? — სწორედაც ტრანსპლანტაციის სრული ლეგალიზაცია, რის შემდეგ ხელ-ფეხი საბოლოოდ გაეხსნება, პასუხიც არაფერზე მოეთხოვება და მერე ნახეთ მისეული ბიზნესის ფრთების გაშლა: ტრანსპლანტაციაში გაწაფული მისიონერები, ისედაც დემოგრაფიულად განადგურებულ და მომაკვდავი ერების „შავ სიაში“ შეყვანილ ქართველებს, დიდ-პატარიანად ორგანოებად დანაწევრებულებს ნაწილ-ნაწილ გაგვიტანენ ქვეყნიდან. აი, ამგვარ აპოკალიფსურ მომავალს გვიმზადებენ ნაცისტი სექტანტები, იგივე „ჟღალჩოხიანი ვაშინერის“ ნაშიერები!..

აქ ერთი მეტად მარტივი კითხვა ისმის: ქ-ნი რულოვსი საარჩევნო სიის თავშია მოქცეული, პარლამენტში ისედაც მოხვდება და მაჟორიტარობა რაში სჭირდებოდა? ანდა, რატომ აირჩიეს ნაცებმა პლაცდარმად მაინცდამაინც სამეგრელო, სადაც ამ ქალბატონის მეუღლემ სისხლის გუბეები დააყენა და ენით აუწერელი ბოროტება ჩაიდინა? მკვლელი მკვლელობის ადგილს უბრუნდებაო, უთქვამთ, მაგრამ ნუთუ მიზეზი მხოლოდ ესაა? პასუხიც ასევე მარტივი, თუმცა, შინაარსით მეტად მძიმეა: ამ ქალის მოქმედებაში ბევრად შორსმიმავალი, მტრის გულის გასახარელი მიზანი იკვეთება, რაც სამეგრელოში სეპარატიზმის გაღვივების მცდელობასა და ამ ძირძველი ქართული რეგიონის დედასამშობლოდან გა-

# ვაშინერს! – უხსენებელი!

უცხოების, მოწყვეტის მეტად საშიშ ტენდენციაში გამოიხატება. ნუთუ რულოვსის ადგილობრივი მხარდამჭერები ამ საფრთხეს ვერ აცნობიერებენ? ნუთუ ვერ გრძნობენ, ამით ისინი არა მხოლოდ საქვეყნო ინტერესებს აყენებენ ზიანს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისტორიულად სამეგრელოზე მიბმულ და ამჟამად მასთან ადმინისტრაციულ ერთეულად შერწყმულ ზემო სვანეთს, მის მოსახლეობასაც შეურაცხყოფენ და აქედან გამომდინარე, რულოვსისათვის მიძღვნილი ტაში და ოვაციები, ჩვენი კუთხისთვისაც უმწარესი სილის გაწვნის ტოლფასია? სვანები ამ ყოველივეს გამძაფრებული ტკივილით აღიქვამენ; მათ არასოდეს დაავიწყდებათ ის სიმწარე, რაც რულოვსის მანიაკმა ქმარმა ამ ამაყ კუთხეს აგემა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ სვანებმა მის დაკრულზე არ იცეკვეს. დინჯი, აწონ-დაწონილი გუმანი ამ ხალხს მუდმივად ერთიანი საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე დგომას კარნახობდა და არა რომელიმე თავქარიანი ხელისუფალის ჭკუაზე სიარულს. ამას ნაციფიურერი როგორ მოინელებდა და შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხის მიმართ გამოჩენილი მისი სისასტიკე სწორედ რომ ეგზეკუციის ტოლფასი იყო. რუსის სადამსჯელო „ატრიადმა“ თუ სოფელი ხალდე არტილერიით და ლაღუმებით მიწასთან გაასწორა, თავის მხრივ სააკაშვილის ხელისბიჭმა, – გიორგი ბარამიძემ უკვე შვეულმფრენების „ატრიადით“ დაბომბა სოფელი ეცერი და ცეცხლმოდებულ სახლზე ხელებმიფიცხებულმა, ცინიკურად კუბდარიც კი მოითხოვა, – სადაა სხვაობა? აქვე გავიხსენოთ ნაცბანდისგან ნაწამები დათო ცინდელიანის ტრაგიკული აღსასრულიც, მიშას ჯალათებმა ლოდშებმული რომ ჩაახრჩვეს შავ ზღვაში და კიდევ რამდენ ვინმეს მოუსწრაფეს სიცოცხლე!.. ქალი პატიმარი სვანეთის ისტორიას არ ახსოვს და ეს შეურაცხყოფაც აკადრეს, დიდებული ქალბატონი – ნანუჩი ნავერიანი განსხვავებული შეხედულებების გამო, საპატიმროში გამოამწყვდიეს. ასევე, პირსისხლიანი შაჰ-აბასის ქართველი მძევლების მსგავსად, ნორა კვიციანიც ფაქტობრივად ძმის ნაცვლად, წლობით აყურყუტეს ციხეში.

ბოლო დროს რულოვსის მომხრეებისგან აქა-იქ უკმაყოფილო წამოძახილებიც გვესმის: „ოცნების“ ხელისუფლებას სამეგრელო მიგდებული ჰყავდაო!“ მაშინ ისიც თქვან, რომელი რეგიონი ჰყავდა პრივილეგირებული და სამეგრელოსთან შედარებით ოაზისად ნაქცევი? დალხინებული დღეს არავინაა, ავდგეთ და ხელისუფლების ჯიბრით, ყველამ სული ეშმაკს მივყიდოთ? სეპარატიზმის გამღვივებელი მიშისტრულოვსისტები მეზობლებს აღარაფერს გვეკითხებიან? ბლოკადაში გვაქცევენ, თუ რაშია საქმე? დედასამშობლოდან მოწყვეტილი სვანები (ღმერთმა არ ქნას!) მერე რა გზას დავადგეთ: კოშკებში გამოვიკეტოთ თუ „ცხეკი დავივით“ („ტყის კაცივით“) თავი გამოქვაბულებში ვდურთოთ? განა არ იციან, რომ მეზობელი სამეგრელოს ავ-კარგი მეტად მგრძნობიარედ და მთელი სისავსით აისახება სვანეთის სინამდვილეზე?

ჩვენთვის ეს კუთხე – „ზანი“ ოდითგანვე შვების მომგვრელი და შეუცვლელი ნავსაყუდელი იყო. მიუვალ მთათა გრეხილებით მკაცრად შემოსაზღვრული მოსახლეობისათვის სამეგრელო საოცნებო ოაზისს, ზღაპრულ სამყაროს და ქვეყნიერების ჭიშკარს წარმოადგენდა. გოროზი მთები თუ მგზავრებს თოვლით ჩაჩუმქრულ გზებს გვიხერგავდნენ, მეგრული ოდა-სახლები ჩვენთვის მუდამ ღია იყო; თბილი კერა და ზრდილი მასპინძლის ყურადღება არ გვაკლდებოდა. სვანი სამონაგროდაც საზანოს ეშურებოდა. გაგონილი გექნებათ: „სვანები ვართ ჩამოსული ბარადა, ყამირების სახნავ-საბარავადა!.“ ზამთრის თვეებიდანვე დაიძვრებოდნენ და იქიდან მოყოლებული, სამეგრელოს მიწა სვანი კაცის ოფლით ირწყვებოდა. მათ ფეხქვეშ იზილებოდა კოლხეთის ჭაობები, ზღვისპირეთის ნესტიანი მიწები, საგულდაგულოდ გაპირულ ცელებს მწარე ხშრიალი გაუდიოდა ღალიან ველებზე. ჩვენებურები ყველაფერს თავისი უღალატო, ნაჯაფი მარჯვენის კვალს ამჩევდნენ და შრომის საზღაურთან, არც მასპინძლების გულის სითბო აკლდებოდათ. ორ კუთხეს შორის ეს ურთიერთსასარგებლო, კეთილმეზობლური ურთიერთობები ოდითგანვე თანაცხოვრების სიმბიოზურ მოდელს აყალიბებდა.

მახსოვს, ოჯახში ბოლო დრომდე რელიკვიასავით გვქონდა შემორჩენილი თორმეტვედროიანი არყის სახდელი სპილენძის ქვაბი, რომელიც მამაჩემმა, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე უკვე ხანდაზმულმა კაცმა, შრომის საზღაურად, დაუჯერებელია და ენგურის ხეობის საცალფეხო გზა-წავარნებით ქვალონიდან ზიდა. მამა, თავადაც ცნობილი შემსრულებელი, მეგრული სიმღერების ტრფიალი იყო და საოცარი სითბოთი იხსენებდა ხოლმე იქაურ სტუმართმოყვარეობასაც.

ამ კუთხის შვილებიდან მეც უამრავი სიკეთე მაქვს გულში ჩარჩენილი. უპირველესად კი დიდებული პიროვნება, მეცნიერი და მამულიშვილი, ბატონი ილია ვეკუა მახსენდება, იმჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ვინც ჩემი თხოვნა გულთან მიიტანა და მისაღებ გამოცდებზე უპატრონობით დაჩაგრული უმცროსი სახლიკაცი ფაკულტეტზე აღადგინა.

ასევე, სასიამოვნოდ მახსენდება მშვენიერი წიგნის „ზღვა, რომელიც შორიას“ ავტორთან, ჩინებულ მამულიშვილთან ბ-ნ გურამ ოდიშარიასთან შეხვედრაც. ბატონმა გურამმა ჩემი წიგნის „კლდის ვეფხვის“ ინგლისურად თარგმანში დახმარების ხელი გამომიწოდა. მადლობის სათქმელად მისული, კაბინეტიდან ხელკავით გამომაცილა და გაღიმებულმა მოულოდნელად სრულიად უაქცენტო სვანურით მითხრა: „ჩუ დამ ჯიხა, მირონ, ნაი – შვანარი ზანარ ჯვინალნეშ ლახვბა ლიშდ“ (შენც იცი, მირონ, ჩვენ – სვანები და ზანები ძველთაგან ძმები რომ ვართო“) და იქვე დაუმატა: სოხუმელი ქართველები „კლდის ვეფხვს“ ერთმანეთს ხელიდან ხელში გადავცემდითო – მადლს მარილიც მოაყარა: თუ თანახმა იქნები, წიგნს საზღვარგარეთ გამოგიცემთო და ფრთაშესხმული გამომიშვა... გულს მომეფონა და სიმართლე გითხრათ, ამჟამინდელი საზოგადოებრივი გაუცხოების ფონზე, მსგავსი ადამიანური სითბო კიდევაც გამიკვირდა. უიღბლობა ნახე!.. ოდიშარიას ამ კეთილ შემოთავაზებას აღსრულება არ ეწერა: გულნატკენს მალე მოუხდა თანამდებობის დატოვება... რა საწყენია, რომ ასეთ უანგარო, გულითად ადამიანებს ხელისუფლებაში ვერ აფასებენ და გამომშრალი, ცივი რობოტებით ანაცვლებენ!..

უდიდესი სიყვარული მაკავშირებს სტუდენტობის დროინდელ მეგრელ მეგობრებთან. სამწუხაროდ, მათ რიგებს რამდენიმე უკვე გამოაკლდა, მათ შორის ჯუმბერ თითმერიაც, – შესანიშნავი მოქალაქე, ლიტერატორი და მთარგმნელი; ასევე მეტად ნიჭიერი ჟურნალისტი გივი ბერაიაც... იმ ბიჭებს ჩემთვის ლუკმასთან ერთად, გულის სითბოც არაერთგზის გაუყვიათ. ასეთები მთელი ლაშქარია: თამაზ, ზაურ, დევი ფიფიები (გენეტიკური კოდით სვანი ფილფანები), მართლაც გამორჩეული, ჭეშმარიტი ვაჟკაცები, ქვეყნის სიყვარულში ტოლს რომ არავის დაუდებენ. ბართაიები, მანიები, ხარჩილავები, თოდუები, ჯგუბურიები, ჯახიები – კაცურკაცობის, მამულიშვილობის ეტალონები, მეცხოვნეებად რომ დგანან და არ დაუშვებენ ქვეყნის მთლიანობის საზიანო სულ მცირე ბზარის გაჩენასაც კი.

ისტორიულად შედუღაბებულ მეგრულ-სვანურ ტრადიციულ ერთობასაც ერთი ფსიქოპათის და მისი ამფსონების ახირებები, ცხადია, დიდად ვერაფერს დააკლებს, ვერ გააუცხოებს, მაგრამ გულსატკენ, უსიამოვნო მომენტებს უცილობლად გააჩენს...

მე კი კვლავ ბრძენი წინაპრების სამყაროს დავუბრუნდები, დიდი კონსტანტინეს აჩრდილს გამოვიხმობ და წერილს ქადაგად დავარდნილი გახუ ხარბედიასეული, ავსულთა განდევნის მაგიური ფორმულებით დავამთავრებ. საოცარია და ლამის საუკუნის წინათ შექმნილი მხატვრული რეალობა, მართლაც როგორ თანხმიერდება თუნდაც ქალბატონი რულოვსის ამჟამინდელ მეგრულ „ოდისეასთან!..“ ვინ იცის, ეს საკრალური შელოცვაც მწერლისგან ზოგადად ქართველი ერისთვის, უფრო ნიშნეულად კი ჩემი სამეზობლოს, თბილი და ლამაზი სამეგრელოს მოსახლეობისთვის სიმბოლო-მინიშნებებით გაცხადებული სამოქმედო გზავნილიც კი იყოს:

**„...მოგცემ ცეცხლსა რვალისასა, გაგაქარვებ თვალსა წამისასა...**

**წყლისა ხარ? ხმელეთისა ხარ? წყლიდან ამონაყოლი ხარ? რა ხარ? რა სულიერი ხარ? ხიდან ჩამოსული ხარ? ხმელეთზე გაჩენილი ხარ? რა სულიერი ხარ? ...ხიდან ჩამოვარდნილი ხარ? ფურცლიდან ანაყოლი ხარ? რა ხარ? რა სულიერი ხარ? ჩაგაგდებ ცეცხლსა რვალისასა. გაგაქარვებ თვალსა წამისასა. დაგჭრი ალითა, მალითა, სუჯუნის ხელბოძალითა. ჩაგაგდებ ცეცხლსა რვალისასა. გაგაქარვებ თვალსა წამისასა. შენ გეპყრას და შენ გებაროს. შენ გეპყრას და შენ გეკავოს, მრისხანე ბატონო სუჯუნისაო“**

**ამ შელოცვას ერის ერთობლივი „ამინ!“ დააგვირგვინებდა...**

**მირონ ხერგიანი**

(„სრ“ 21.X.2016)

## მთავარი რედაქტორისგან:

**ამ წერილის ავტორს, საყოველთაოდ ცნობილ უპატიოსნეს პიროვნებას, დიდებულ მწერალს, მოღვაწეს და სვანეთის ღირსეულ შვილს, როგორც ჩვენში იტყვიან, ტყუილიც დაეჯერება, მითუმეტეს, რომ, რასაც ბატონი მირონი ამ პუბლიცისტურ წერილში ამბობს, დოკუმენტურად დამტკიცებული სიმართლეა. „ლედი მფატრავის“ შესახებ კარგა ხანია, წერს ქართული პრესა და ამას, უპირველეს ყოვლისა, ზუგდიდის მოსახლეობის გასაგონად და თვალების ასახელად აკეთებს. წინა საპარლამენტო არჩევნებზე მავნებელი ნაცების და ავაზაკი სააკაშვილის კანდიდატი სანდრა რულოვსი ზუგდიდში კი დამარცხდა, მაგრამ... ახლა პარლამენტის ნაცვლად მთლად სამეგრელოში აპირებს დამკვიდრებას და მერის სავარძელში ჯდომას. ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!.. გონიერი და თავმოყვარე ზუგდიდელები ამას არ დაუშვებენ, რადგანაც ეს მთელი საქართველოს სირცხვილი და თავლაფის დასხმა იქნება.**

**მირონ ხერგიანი, როგორც რიგითი მოქალაქე და სამეგრელო-ზემო სვანეთის ისტორიული ძმობა-მეგობრობის, ზანებისა და სვანების ერთარსებობის მეხოტბე და მემატიანე, ამ წერილით კიდევ ერთხელ მოუწოდებს ზუგდიდელებს, რომ.: არა – ნაცებს! არა – სანდრა რულოვსს! არა – ქართველი ხალხის საყოველთაო სირცხვილს!**

# „როსნეფტი“ საქართველოში მონოპოლისტი ხდება?!

**„ვისოლი“ იყიდება და მის ყიდვას რუსული „როსნეფტი“ გეგმავს, რომელიც უკვე ისედაც აკონტროლებს საქართველოში საწვავის ბაზრის დიდ ნაწილს და ამ გარიგებით ის მონოპოლისტი ხდება, – ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ავრცელებს.**

ოპოზიცია ფაქტს შემაშფოთებლად მიიჩნევს და ხელისუფლებას რეაგირებისკენ მოუწოდებს.

**„როდესაც საუბარია ისეთ კომპანიაზე, როგორიც არის „როსნეფტი“, რომელსაც არაერთხელ აქვს დარღვეული საქართველოს კანონმდებლობა ოკუპაციის შესახებ, სახელმწიფო ვალდებულია, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ეკონომიკური თუ სხვა სახის ექსპანსიის დასაცავად შესაბამისი რეგულაციების და კონტროლის მექანიზმების განხორციელება მოახდინოს“,** – განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

ტრანზაქციების დეტალური შესწავლის აუცილებლობაზე საუბრობენ „ევროპული საქართველოს“ წევრები.

**„ეს ტრანზაქცია უნდა იყოს შესწავლილი და თუ ასეთი რამე დადგინდება, მაშინ ხელისუფლებამ ეს არ უნდა დაუშვას, ან უნდა იმოქმედოს კანონის შესაბამისად – უნდა დააჯარიმოს ეს კომპანია. მას უნდა დაუჯინოს ძვირი, ჩვენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. თუ ამ ბიზნესის შემოსვლა ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე სხვა ბიზნესებზე არალეგალურ საქმიანობას, თუ ეს გამოიწვევს დომინოს ეფექტს და გამოიწვევს, თუ ამას არ ექნება მკაცრი რეაგირება“,** – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

ოპოზიცია „როსნეფტის“ საქართველოში შემოსვლას ჰიბრიდული ომის ნაწილად მიიჩნევს...

# ავიაკატასტროფა რუსეთში

**ავიაკომპანია „აეროფლოტის“ თვითმფრინავის Sukhoi Superjet 100-95-ის კატასტროფას ბოლო მონაცემებით 41 ადამიანი ემსხვერპლა. თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც რეისს მოსკოვიდან მურმანსკში ასრულებდა, 73 მგზავრი და ეკიპაჟის 5 წევრი იყო. დაღუპულთა შორის არიან ბავშვები, ეკიპაჟის წევრი და აშშ-ის მოქალაქე.**

შერემეტიევოს აეროპორტიდან აფრენიდან მალევე თვითმფრინავის ეკიპაჟმა საგანგებო დაშვების ნებართვა ითხოვა. რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, თვითმფრინავმა დაჯდომა მხოლოდ მეორე ცდაზე შეძლო. დაჯდომისას ლაინერი ორჯერ დაეჯახა ასაფრენ ბილიკს. მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ სამგზავრო თვითმფრინავს ცეცხლი ავარიული დაშვებისას გაუჩნდა. მომხდარის მთავარ მიზეზად მეხის დაცემა განიხილება. უკვე ამოღებულია ე.წ „შავი ყუთი“.

როგორც ინტერფაქსი წყაროზე დაყრდნობით წერს, თვითმფრინავის ბოლო ნაწილში მგზავრების დაღუპვის მიზეზი შესაძლოა, გამხდარიყო რამდენიმე მგზავრის მცდელობა, რომ თაროებიდან ბარგი აეღოთ, რამაც მგზავრების გარეთ გამოსვლა შეაფერხა.

მურმანსკის ოლქში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა.

# მუდამ სიახლის მაძიებელი



**ადამიანის არსებობას ამქვეყნად მხოლოდ ერთი გამართლება აქვს – სიკეთის ქმნა და ამ გზით მის პირველ მიზეზთან, უზენაეს შემოქმედთან ამით მიმსგავსება. ბედნიერია ადამიანი, რომელიც შესძლებს და მოახერხებს ამ თანხვედრას.**

ჭეშმარიტ მამულიშვილს, პროფესორ ამირან მექვაბიშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. იგი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ემსახურებოდა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობას. მესხეთის რეგიონი მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდია, სადაც იშვა და განვითარდა მისი ცხოვრებისეული მრწამსი – კრედო.

ბატონმა ამირანმა იმთავითვე დაიმკვიდრა ღირსეული ქართველი კაცის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, სახელმწიფო მოღვაწის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოსის, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის, მრავალგზის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული პიროვნების სახელი.

მესხთა საუბარს თუ ყურადღებით მოვუსმენთ, ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება ჩვენი ქვეყნის ღირსეულ პიროვნებაზე, რომელსაც ეს სიტყვები მიესადაგება: „...გვინდა, ჩვენი საზოგადოების ყურადღება გადავიტანოთ იმ ადამიანის ღვაწლსა და ამაგზე, მის საზოგადოებრივ ფუნქციაზე, რომელმაც ღირსეულად განვლო ბობოქარი წლები ჩვენი ცხოვრებისა და ღირსეულად ატარა მაღალმოქალაქეობრივი შეგნება; თუ თვალს გადავავლებთ განვლილ წლებს, რომლებიც უდავოდ შთამბეჭდავია თავისი შინაარსით, ყველა შემოგაგებებთ კეთილ განწყობას ადამიანზე, რომელიც მესხეთში მოღვაწეობითა და თავისი კაცური ცხოვრებით, ადამიანური ურთიერთობით ცნობილი გახდა თაობებისთვის არა მხოლოდ გარეგნული იერსახით, არამედ თავისი შინაგანი სულიერი მდგომარეობით.

წარმოშობით იგი გურიიდანაა, მაგრამ ისე შეიყვარა მესხეთი, რომ თავისი მომავალი ცხოვრებაც მესხეთს დაუკავშირა, იქვე იქორწინა და შვილებიც აქვე გაზარდა, თვითონ კი მესხური სტუმართმოყვარეობის ნიმუშად იქცა“. მექვაბიშვილთა ოჯახში სიყვარულით მღეროდნენ უძველეს მესხურ სიმღერებს, აგროვებდნენ ხალხურ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ხალხურ პოეზიას და, როგორც უკვდავებას, ისევ უბრუნებდნენ ხალხს.

ხუმრობა ხომ არ არის, ადამიანის ბიოგრაფიაში ცხრა ათეულმა წელმა ისე გაიაროს, რომ ადამიანებთან ურთიერთობის საინტერესო კვლევაში – ბევრი დადებითი და სასიკეთო საქმე აკეთოს ისე, რომ ნაკლები შეცდომა დაუშვა... ბატონი ამირანი დღესაც ახალგაზრდული შემართებითაა აღსავსე და იმავე მღელვარებით ფიქრობს, როგორც ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინ.

ბატონმა ამირანმა მესხეთის რეგიონში თავისი მოღვაწეობით საფუძველი ჩაუყარა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას, გაამდიდრა ქართული სულიერი კულტურა და შეგნებულად იდგა განუწყვეტელ ჭიდილში მუდმივ სიახლეთა ძიებაში. მისი თაოსნობით საფუძველი ეყრებოდა საგანმანათლებლო კერების მშენებლობასა და მუშაობას, განმტკიცდა და დაიხვეწა საკადრო პოლიტიკა, შეიქმნა მუსიკალური სკოლა, აშენდა საავადმყოფო, პოლიკლინიკა, გამდიდრდა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი, გაცოცხლდა უამრავი მესხური სოფელი; მისივე მონდომებით მესხეთში მოწვეული იყვნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ჯანო ბაგრატიონი და ქეთევან ღოღობერიძე, აღორძინდა ძველი მესხური „მრავალჟამიერი“, შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ერთ-ერთი პირველი ადგილი აიღო, ხოლო ამ ფაქტთან დაკავშირებით სპეციალურად მოსკოვის აპრელევის სახელობის ქარხანაში დამზადდა გრამფირფიტა და გავრცელდა მთელ ქვეყანასა და ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ასევე, განახლდა მესხეთის სახელმწიფო თეატრი, გაუმჯობესდა სოფლებში მისასვლელი გზები, სასმელი წყლის მიწოდება და სხვა უამრავი რამ. მესხეთში, კერძოდ ადიგენსა და ახალციხეში სერიოზულად გადაიჭრა ეკონომიკური საკითხები, რამაც დიდად აამაღლა ამ ძირძველი მიწის – მესხი მოსახლეობის კეთილდღეობა!

განსაკუთრებულია ბატონი ამირანის ზრუნვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინების საქმეში: საფარის, ზარზმის უნიკალური ტაძრები გარდაიქმნა მოქმედად. იმ უძნელეს წლებში, როდესაც ხალხის მოთხოვნის საფუძველზე ამოქმედდა ქართული მართლმადიდებლური სალოცავები, ხოლო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II პირადად დიდ მრევლთან ერთად მოგზაურობდა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ნაწილში და ხელმძღვანელობდა ტაძრების ამოქმედებას, რაც ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და პირადად ამირან მექვაბიშვილის მხარდაჭერის შედეგია.

2002 წელს მადლიერმა მესხმა ხალხმა ამირან მექვაბიშვილი წლის საუკეთესო ადამიანად აღიარა, რითაც გამოხატა საკუთარი სითბო და ღრმა პატივისცემა.

ამირან მექვაბიშვილის თაოსნობით შეიქმნა და დღესაც აქტიურად ფუნქციონირებს ასოციაცია „მესხეთი-2001“, რომლის პრეზიდენტიც თავად გახლავთ დღემდე. ასოციაციაში გაერთიანდნენ ღვაწლმოსილი პიროვნებები, ძირძველი მესხები და ის ადამიანები, რომელთაც აქ უწევდათ მოღვაწეობა და მათ წარუშლელი კვალი დატოვეს. ასოციაციის ეგიდით ხშირად იმართება სხდომები და სხვადასხვა სახის ღონისძიება დევიზით: „სიკეთე და ღვაწლი არ უნდა იკარგებოდეს – ამაგდარი ადამიანების გახსენება“. ასოციაციის მუშაობის ფარგლებში განხორციელდა უამრავი კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი პროექტი, რაც თავისთავად ხელს უწყობს მესხეთის რეგიონის აღორძინებას და დედაქალაქთან კულტურულ ინტეგრაციას.

ბატონი ამირანის განსაკუთრებული ნიჭი და უნარი გამოვლინდა ახალგაზრდებთან მუშაობის სფეროში. მისი უშუალო თაოსნობით რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანების არაერთი შეხვედრა იქცა მრავალი თაოსნობის საწყისად. მან ბოლო ათეული წელი დაუთმო სტუდენტი ახალგაზრდობის იდეურ აღზრდას: მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, რომლის რექტორადაც წლების განმავლობაშიც მოღვაწეობდა. აღნიშნული უნივერსიტეტი თავის შემადგენლობაში აერთიანებდა ქართველი ახალგაზრდობისა და საუკეთესო პროფესურის დიდ ნაწილს. ასევე აღსანიშნავია, ბატონი ამირანის სწავლა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც ისტორიის ფაკულტეტზე წარმოაჩინა თავისი საუკეთესო უნარ-ჩვევები საგანმანათლებლო სივრცეში მუშაობისა.

ამირან მექვაბიშვილი არის მრავალი სახელმძღვანელოსა და 25 წიგნის ავტორი: „ოცი წელი მესხეთში“, „გვარის ისტორია“, „ცხოვრების მხარდამხარ“, „ქცევის კულტურა“ და სხვა მრავალი ცხადყოფს ავტორის პოზიციას, მრწამსს, მის ფილოსოფიურ ხედვას, რაც უდავოდ ადასტურებს ბატონი ამირანის მიზანსწრაფულობას, ოპტიმიზმსა და კეთილმყოფელ ზეგავლენას მომავალ პრობლემებთან.

ბატონი ამირან მექვაბიშვილი, როგორც ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში, მათ კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო – პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის 2001 წლის 31 მარტს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოვდა ღირსების ორდენით; ასევე, მას სხვადასხვა დროს მიღებული აქვს ორი ორდენი და ცხრა მედალი. ახლახან, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით ბატონი ამირანი არჩეულია ქალაქ ადიგენის საპატიო მოქალაქედ.

ბატონი ამირანი ბედნიერი ადამიანია იმით, რომ შეუძლია თამამად იამაყოს ოთხი შვილით, ცხრა შვილიშვილით, თხუთმეტი შვილთაშვილით, ორი შვილთაშვილის შვილით.

დრო გადის, იცვლება ზოგიერთი ღირებულება, მაგრამ მუდმივად რჩება ის ფასეულობა, რაც მარადიულია საზოგადოებისთვის... ის ადამიანები, რომელნიც მის ცხოვრებას მხარდამხარ მოვყვებით, ღრმად გვწამს მისი პიროვნებისა და კიდევ ერთხელ ვულოცავთ მას ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს – დაბადებიდან 90 წლისთავს! გვინდა, ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე და მხნედ ყოფნა თავის საყვარელ დიდ ოჯახთან ერთად ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ.

მრავალჟამიერ ყოფილიყოს თქვენი სიცოცხლე!

გულითადად მივესალმებით და მივულოცავთ ბატონ **ამირან მექვაბიშვილს** დიდ ცხოვრებისეულ მოვლენას – დაბადებიდან 90 წლის იუბილეს!

**აკადემიკოსები და დოქტორები: როინ მეტრეველი, ნოდარ ჭითანავა, გოჩა ჩოგოვაძე, გივი ცინცაძე, ვალერი კვარაცხელია, ელგუჯა მექვაბიშვილი, ირაკლი მექვაბიშვილი, გივი მერაბიშვილი, გიორგი ნანეიშვილი, ვალერი სუხიშვილი, ანზორ შარაშენიძე, ნუგზარ წერეთელი**

# შესანატრი აქტივობით გამორჩეული

თქვენ მრავალი ათეული წელია, უშურველად ემსახურებით ჩვენს საზოგადოებას და იმედი გვაქვს, კვლავაც ასეთივე ენერგიით გააგრძელებთ მოღვაწეობას. თქვენი დაუღლელი შრომის შედეგად მრავალი საინტერესო აქტივობა განხორციელდა და დარწმუნებული ვართ, კვლავაც ბევრი გაკეთდება. აღსანიშნავია ის, რომ კვლავაც გვეძლევა საშუალება და შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი თქვენს მოღვაწეობასა და ნაღვაწს, რომელიც საკმაოდ ნიშანდობლივია და წონადი. თქვენ მრავალი ცხოვრებისეული გამოწვევა მიგიღიათ და წარმატებითაც გაგირთმევიათ თავი, ამჯერადაც მოხარული ვართ, რომ გვეძლევა საშუალება, მოგილოცოთ ეს თარიღი და გისურვოთ კიდევ უამრავი სასიკეთო საქმის წარმატებით დასრულება და მუხლჩაუხრელი, თქვენეული შრომა საზოგადოების განვითარებისთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, **დაბადებიდან 90 წლისთავს** და გისურვებთ, კვლავ დიდხანს გაგეწიოთ საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ყოფილი კოლეგები: **ანზორ ბურჯანაძე, ადერკინ კოპლატაძე, ბორის სალარიძე, გიორგი ნაჭყებია, გურამ გუნავა, ნუგზარ ნადარაია, ნოე ჩაგუნავა, გიორგი წითლანაძე;**

მეგობრები: **ოთარ აბუთიძე, ირაკლი ლომთაძე, მალხაზ შანიძე, გრიშა მაჭარაშვილი, პავლე ნარიმანელი, ალექსანდრე შათირიშვილი, ტარიელ ჭანტურია;**

მექვაბიშვილები: **ანზორი, დოდო, ელისო, ელენე, დეკანოზი დავითი, ლილი, მედეა, მაია, მამია, ნათელა, ნელი, სოფიკო, ტიტე, შალვა, შალვა, თემური და ჯულიეტა;**

ახლობლები: **ხვთისავარ და ლაურა არჩემაშვილები, გიმილი გოგიბერიძე, ნანა კირკიტაძე, იგორ კვესელავა, გივი და ზოია გედენიძეები, უშანგი დალალიშვილი, ამირან დურგლიშვილი, აკაკი თამაზაშვილი, გულიკო მიქანაძე, ვჟა ბერიძე, ზურაბ სანადირაძე, იზა ქაფიანშვილი, ნუგზარ სარჯელაძე, დურმიშხან სანიკიძე, ზაზა მექვაბიშვილი, თეიმურაზ და ქეთევან ტარყაშვილები, თამარ ყანჩაველი, თენგიზ და მიმი ჭარხალაშვილები, თინათინ ჭყრუნიშვილი, კლარა ხრიკული, ლიანა ხმალაძე;**

დედაქალაქის გამწვანებლები: **ანზორ კუპატაძე, ასმათ აფრიამაშვილი, ალეკო სიჭინავა, ინგა კუხარენკო, თეიმურაზ ვაჩაძე, ნუგზარ შეყილაძე, ომარ ტიკარაძე;**

შთამომავლები: **რუსუდან, ავთანდილ, ფრიდონ მექვაბიშვილები, არჩილ, ნესტან, ალექსანდრე, ძლენია, გიორგი, თიკო ბერაიები, ვახტანგ, მარი, დავით, ანა ბუცხრიკიძეები, ირაკლი, ნინო, დავით, ლევან, მაკა მექვაბიშვილები, ირაკლი კამკამიძე, მარიამ მექვაბიშვილი, გიორგი და ლიკა გედენიძეები, მირზა ფირცხალავა, მერი გედენიძე.**

# თითქოს ავანსცენაზე გვყავდეს

## ვირტუალური ლექცია მიხაკო წერეთელზე

**ილიასთან წერია ყველაფერი, რა გზით უნდა იაროს საქართველომ, — გვითხრა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ მორიგ შეხვედრაზე.**

შეხვედრას ვეძახით ისრაელიდან საქართველოში ინტერნეტით ჩართვას, რომ ვესაუბროთ და მოვისმინოთ მისი მართალი სიტყვა, რომელიც ასე გვჭირდება სამშობლოდან შორს მყოფ ემიგრანტებს.

„ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში“ ტრადიციად აქცევს ასეთ შეხვედრებს. ამჯერად მასპინძელი თამარ წერეთლის ოჯახია, რომელიც ისრაელში ქართველ ემიგრანტთა ფიზიკური და სულიერი ნავსაყუდელია.

თემაც შერჩეული გვაქვს. მწერალი მიხაკო წერეთელზე გვესაუბრება.

თამარი სიამაყით ისმენს დიდი წინაპრის ისტორიებს, თან გონებაში ბებიის მოყოლილ ამბებს უდარებს. გვესაუბრება მწერალი და დროდადრო კითხვებით ჩავერთვებით, მეტი რომ გავიგოთ, უფრო ღრმად ჩავკირკიტებთ. დაუზარელია ბატონი როსტომი. კი არადა, ხარობს, რომ არ ვეშვებით.

მოულოდნელად ისიც გავუმხილეთ, ჭიათურიდან თამარ წერეთლის მამიდა, ქალბატონი ნანული წერეთელი ტელეფონის მეშვეობით რომ გვისმენდა, დროდადრო კითხვებსაც სვამდა ამაგდარი და ღვაწლმოსილი განათლების მუშაკი, წმინდა ანდრიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორი, დასვენება რომ არ იცის, ოღონდ თავისი კუთხისა და ქვეყნის სასიკეთოდ რამე აკეთოს. ჰოდა, ვერ დაკმაყოფილდა მწერალთან ასეთი დისტანციური საუბრით. ამიტომ, ვუშუამდგომლეთ ისრაელიდან. და ბატონი როსტომი პირადად ეწვევა ჭიათურაში მის სკოლას, სადაც მოეწყობა პრეზენტაცია მიხაკო წერეთლისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანისა „მგზავრი თიბათვის თვეში“, რომლის ავტორი თავად როსტომ ჩხეიძეა. რატომაც არა, ახლა სწორედ ის დროა, კარდაკარ მივუკაკუნოთ ყველა ქართულ ოჯახს და შევახსენოთ, რა უკეთებიათ წინაპრებს და რას ვაკეთებთ ჩვენ?!

საუბარმა დიდხანს გასტანა, რადგან დროს არ ვითვლიდით. დროდადრო იმ ემიგრანტებს წარვუდგენდი, ვისაც კითხვის დასმა სურდა. ემიგრანტები ისრაელის სხვადასხვა ქალაქებიდან შეიკრიბნენ ქალაქ ბათიამში ამ დღეს, ერთმანეთის მოსაფერებლად და როსტომ ჩხეიძის საუბრების მოსასმენად.

თამაზ მიქელაძისა და ციო დადეშელის მრავალშვილიანი ოჯახი ქარელის რაიონიდან, უკვე 17 წელია, ქალაქ ლოდში დამკვიდრდა. ხშირად გაჭირვებულ ემიგრანტებს, როგორც უფლისაგან მოგზავნილები, ისე მოევლინებიან ხოლმე. ყველას ასწავლეს ქართველების სიყვარული და პატივისცემა.

ზურაბ ბერიაშვილი და ირინა დევდარიანი ოცი წლის წინათ ოჯახით ჩამოვიდნენ ისრაელში, მაგრამ არც მათ მოუშლიათ ქართულ მიწაზე ფუძეკერია. პროფესიით მუსიკოსები, ისრაელში არაქართულეროვან მოზარდებს კარგა ხანია, ქართულ სიმღერებს ასწავლიან. დღეს კი ქართული ხელოვნების ცენტრს ჩემთან ერთად წინამძღოლობენ.

ფიქრია ლეჟავა და გოჩა გაგუა ემიგრანტები არიან. შრომობენ თავიანთი სიყვარულით შექმნილი ოჯახის გასაძლიერებლად. ბატონ როსტომთან შეხვედრა არ გამოგვაპაროთო, წინასწარ გამაფრთხილეს და მეგობართან შორენა მიქავასთან ერთად მოვიდნენ.

ფიქრია და შორენა ღრმა კვალს დააჩნევენ ქართულ ემიგრაციულ ყოფას. პროფესიით პედაგოგებმა, მძიმე ემიგრანტული რეჟიმის მიუხედავად, ერთადერთი დასვენების დღე, შაბათი, სულ ახლახან დაფუძნებულ დიასპორული ორგანიზაცია “მამულის“ მიერ შექმნილ საკვირაო სკოლისთვის გამოიმეტეს და ენთუზიაზმით ასწავლიან აქაურ ქართველ ბავშვებს მივიწყებულ მშობლიურ ენას. ქალბატონმა შორენა მიქავამ მადლიერებით აღნიშნა ქართული ხელოვნების ცენტრის საქმიანობა ისრაელში და როსტომ ჩხეიძის ვირტუალურ ჩართვებს ემიგრანტებისთვის „დიდი ფუფუნება“ უწოდა:

**— ფიქრია ლეჟავას თქმით ასეთ შეხვედრებზე, რაც მეტი ვიქნებით, მით მეტად გავაცნობთ სხვებს ჩვენს ფასეულობებს, ჩვენ წინაპართა ნამოღვაწარს. მადლობელი ვარ ბატონი როსტომისა, რომელიც დაუღალავად უპასუხებდა ჩვენს შეკითხვებს. ჩვენი დიდი წინაპრების შესახებ ბევრი რამ წაგვიკითხავს და ვიცით, მაგრამ როცა როსტომ ჩხეიძეს უსმენ, თითქოს ყველანი თავიდან აღმოაჩინე.**

დავით გელაშვილისა და მარინა გოგოხიას ოჯახი თავდაუზოგავად მხარში უდგანან ყველა შეჭირვებულ ემიგრანტებს. წინა შეხვედრის კადრები სოციალურ ქსელში რომ აიტვირთა, სხვა ქვეყნებში მცხოვრებმა ემიგრანტმა ნათესავებმა მოსწერეს:

**— რა ბედნიერები ხართ, როსტომ ჩხეიძის მოსმენისა და მასთან საუბრის საშუალება რომ გაქვთ.**

ზურა პოპიაშვილი, გოჩა ბაბუნაშვილი და კობა ბერიძე თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები არიან. ემიგრაციაში როსტომ ჩხეიძის მოსმენა მათთვის სულის მოთქმაა. როგორც კობა ბერიძე ამბობს, ყველა ქართველი ოფიცერი როსტომ ჩხეიძის წიგნებზე უნდა იზრდებოდეს. გოჩა ბაბუნაშვილმა თქვა: როსტომ ჩხეიძის წიგნებით ჩვენი გზა-შარაა გაკვალული და მინიშნებაა, აწი რა გზა უნდა ავირჩიოთო. ზურა პოპიაშვილს სასაუბრო დრო არ ყოფნის, ამიტომ ამბობს: შეხვედრების ციკლი უწყვეტად უნდა განვაგრძოთ და რაც მთავარია, ახალგაზრდა ემიგრანტების, ჩვენი შვილების თაობაც უნდა ჩავრთოთო.

როცა ჩვენ შორის ქართველი ებრაელი გია მოშიაშვილი ზის, რომლის ერთი ლექსის ფრაზა ასე ჟღერს — „მე ვარ ნოე, ქართლოსში გაგრძელებული“, რა გასაკვირია, საუბრის თემა უფრო შორს გაიქცეს, ვიდრე გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, არჩილ ჯორჯაძის და პავლე ინგოროყვას ეპოქაა. მას გულით უნდა ანტიკურ მითოლოგიაზე დოკუმენტური წყაროები მოიპოვოს და მედეას თავგადასავალზე უფრო მეტი ვიცოდეთ, ვიდრე ვიცით.

ქალბატონი დალი დონაძე ქართული ხელოვნების ცენტრს ემადლიერება იმ პროექტებისათვის, რომელიც ქართველ ემიგრანტებს სიამაყეს უძლიერებს წარსულისა და ეროვნულ ფასეულობათა მიმართ.

ქალბატონი მარინა ბუბუტეიშვილი მადლობას უხდის ბატონ როსტომს, რომელიც მხარში ამოუდგა ამ პროექტს, რათა გვეამაყებოდეს ქართველ ემიგრანტებს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ვეძებთ და ვპოულობთ ჩვენი სამშობლოს ფესვებს, წინაპართა ჩადენილ სიკეთეებს ქვეყნის სადიდებლად, მომავლის გასაძლიერებლად.

მარტო იმ ფაქტის გახსენება რად ღირს, ისრაელში მოღვაწე ქართველი ემიგრანტებისთვის, რომ მრავალი ქართველის ძალისხმევით, საკუთარი სიცოცხლის, რისკის ფასად საკონცენტრაციო ბანაკებში მრავალი ათასი ებრაელი გადაურჩა უეჭველ სიკვდილს, რადგანაც ქართველები ამტკიცებდნენ: ესენი ებრაელები კი არა, ქართველი მუსულმანები არიანო.

— გაიხარეთ, მეამაყებით! — ამბობს ემიგრანტი მარინე ბუბუტეიშვილი.

ძველი თბილისის უბანში გაზრდილ ქართველ ებრაელ ქალბატონს, რომელსაც თავისი ფესვების ცხინვალიდან წარმოშობა ეამაყება, მხოლოდ ერთი შეკითხვა არ ასვენებს: როდის ესტუმრება ბატონი როსტომ ჩხეიძე ქართული ხელოვნების ცენტრს ისრაელში, რომ მასთან ერთად მოვინახულოთ წმინდა მიწაზე არსებული ქართული კულტურის კერები.

მალხაზ მიქელაძე ახალგაზრდა მარჯვენაღირსეული კაცი აჭარიდან დღედაღამ შრომობს ოჯახის წელში გასამართად. ქართული ხელოვნების ცენტრს ისრაელში დაფუძნებისთანავე ამოუდგა მხარში. ყველა ღონისძიებას გულისყურით უსმენს და ამავდროულად კადრების აკრეფასაც ახერხებს, რადგან იცის, ეს ყოველივე, რაც მის თვალწინ ხდება, აწმყოს წარსულთან აკავშირებს.

მომავალ ჩართვამდე ვემშვიდობებით ბატონ როსტომს მქუხარე ტაშით, თითქოს აგერ ავანსცენაზე გვყავდეს. თვითონაც კმაყოფილი, ბედნიერი ღიმილით გვიქნევს ხელს. მაგრამ ჩვენ გული იმაზე გვწყდება, სუფრა გაშლილი გვაქვს მამაპაპურად, ყველაფერი ქართულად და საქართველოდან. აივანზე ბიჭები მწვადებსაც უტრიალებენ. აბა ამხელა ლექცია-საუბრის მოსმენის შემდეგ თემები სად უნდა განვავრცოთ, თუ არა სუფრაზე, ჰოდა სუფრასაც როგორ დაგვიმშვენებდა, თამადობასაც ვუბოძებდით და არც დროს დავზოგავდით კვლავ მოსასმენად.

თუმცა მეორე დილით ისევ 5 საათზე უნდა ავდგეთ ყველა, უმძიმესი ემიგრანტული რეჟიმის გასაგრძელებლად. მაგრამ ცხოვრებას გვიადვილებს წინაპრების მიერ ჩვენზე უფრო მძიმედ განვლილი გზა, ჩვენზე უფრო ნაყოფიერად, ჩვენ მხოლოდ რომ უნდა გვახსოვდეს და მათ გაკვალულ გზას მივდიოთ, რომ არ გადავგვარდეთ, რომ არ გადავშენდეთ. გული გვიხარის, ჯავრს ვუმკლავდებით, რადგან — როგორც შეგვპირდა — კიდევ შევხვდებით ბატონ როსტომ ჩხეიძეს.

**მარინა გელაშვილი**

# იფრინეთ პარაპლანით

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (GCAA) ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს საჰაერო სივრცეში პარაპლანით ფრენის პირობებს ადგენს. „საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენის წესების დამტკიცების თაობაზე“ არსებულ ბრძანებულებას დაემატება ახალი მუხლი, რომლის მიხედვითაც

პარაპლანით ფრენა უნდა განხორციელდეს:

- **იმგვარად, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პარაპლანით ფრენისას გამოწვეული საფრთხე ადამიანებისათვის, ქონებისათვის და საჰაერო ხომალდებისათვის;**
- **მზის ამოსვლასა და ჩასვლას შორის (დღის) პერიოდში;**
- **ხმელეთის ზედაპირთან მუდმივი ვიზუალური კავშირის შენარჩუნებით;**

**პარაპლანით ფრენისას აკრძალულია:**

- **საგნების გადმოყრა ან ნივთიერებების გაშხეფვა;**
- **ფრენა ღრუბლების სიახლოვეს ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად 1000 ფუტზე (304 მეტრი) ნაკლებ მანძილზე და 3 კილომეტრზე ნაკლები ხილვადობის პირობებში;**

**კონტროლირებადი საჰაერო სივრცის ფარგლებში, პარაპლანით ფრენა ხორციელდება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებით.**

**არაკონტროლირებადი საჰაერო სივრცის ფარგლებში, პარაპლანით ფრენა ხორციელდება სმმ-ის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირებით.**

**გარდა ამისა,** GCAA-ს საჯარო განხილვაზე გამოაქვს პროექტი — „საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენის წესების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ — სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს №113 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცვლილების მიზანია საქართველოს საჰაერო სივრცეში ვიზუალური ფრენის წესით (VFR) სპეციალური ფრენის, ასევე ღამის (მზის ჩასვლასა და ამოსვლას შორის პერიოდში) ფრენების განხორციელების პირობების დადგენა. წარმოდგენილი პროექტი ასევე ადგენს დამატებით პირობებს ქალაქის ან/და მჭიდროდ დასახლებული ადგილების თავზე ფრენების განხორციელებისას. ცვლილებები შემუშავებულია შესაბამისი ევროპული მოთხოვნების გათვალისწინებით (ევროკავშირის რეგულაციები: №923/2012 და №2016/1185).

# შეგვიძლია, გვქონდეს მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღრმავების იმედი

**ხელისუფლების მშვიდობიანი ტრანზიტი ყაზახეთში ფრიად დემოკრატიული აღმოჩნდა — სკეპტიკოსთა პროგნოზების მიუხედავად, ყაზახეთის სახელმწიფო სისტემამ აჩვენა თავისი მდგრადობა და კლანურობისგან თავისუფლება. პირველი პრეზიდენტი, ერის ლიდერი ნურსულთან ნაზარბაევი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის გულწრფელი მხარდაჭერითა და სიყვარულითაც სარგებლობს. ხალხში ასეთი საყრდენი, ერთი მხრივ, ძალიან კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ — ჭარბი პოპულარობა ლიდერებს ხშირად უქმნიდა ძალაუფლებით მანიპულირების და მართვის სადავეების სიცოცხლის ბოლომდე შენარჩუნების ცდუნებას, როდესაც ისინი დროულად ირჩევდნენ „მემკვიდრეს“ საკუთარი ოჯახის წრიდან, რაც ზიანს აყენებს ნებისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას. მაგრამ ეს აბსოლუტურად არ ეხება ნაზარბაევს, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ამზადებდა თავის გადადგომას და ამყარებდა სახელმწიფოს, სახელმწიფო ინსტიტუტებს, ყაზახეთის საერთაშორისო მდგომარეობას — ნაცვლად პირადი ძალაუფლებისა. ნაზარბაევი პრეზიდენტის თანამდებობიდან შესრულებული ვალის გრძნობით მიდის, მაგრამ, ამასთან ერთად, უზრუნველყო ხელისუფლების ტრანზიტის გამჭვირვალობა და დემოკრატიულობა.**

ასე და ამრიგად, უკვე ამა წლის 9 ივნისს დაინიშნა ახალი პრეზიდენტის არჩევნები. ნაზარბაევის ნათესავთაგან არავინ იღებს ამ არჩევნებში მონაწილეობას. ფავორიტად მიიჩნევა ამჟამინდელი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, პარლამენტის მიერ დროებით არჩეული, ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი.

ცოტა რამ ქვეყნის საარჩევნო სისტემაზე. არჩევნებში ამომრჩევლად მონაწილეობის და კანდიდატად მონაწილეობის უფლება დარეგულირებულია საკონსტიტუციო კანონით „ყაზახეთის რესპუბლიკაში არჩევნების შესახებ“, რომელიც 1995 წლის სექტემბერშია მიღებული. კონსტიტუციისა და ამ კანონის დებულებების მიხედვით, პრეზიდენტის, პარლამენტის და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები, ისევე, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წევრთა არჩევნები, ტარდება საყოველთაო, თანაბარი და პირდაპირი საარჩევნო უფლებით, ფარული კენჭისყრის პირობებში.

რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. პრეზიდენტად შეიძლება, არჩეულ იქნას დაბადებით ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის მქონე პირი, რომლის ასაკი, სულ მცირე, 40 წელი უნდა იყოს. იგი თავისუფლად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ყაზახეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდეს ბოლო 15 წლის მანძილზე.

ზემოთ ნახსენები საკონსტიტუციო კანონის მიღების მომენტიდან, 1995 წლის სექტემბრიდან დღემდე, მასში თოთხმეტჯერ შეიტანეს ცვლილებები და დამატებები. საერთო ჯამში, შესწორებათა რაოდენობა, მოცემულ მომენტში, შეადგენს 792-ს. ამგვარად ჩამოყალიბებული საარჩევნო კანონმდებლობა ქმნის საარჩევნო სისტემას, რომელიც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტში ჩამოყალიბებულ საარჩევნო სამართლის ძირითად პრინციპებს შეესაბამება და ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას სრულად შეესიტყვება.

ყველაზე უფრო კონცეპტუალური ცვლილებები კანონში არჩევნების შესახებ განხორციელდა 2004, 2007 და 2009 წლებში. კერძოდ, 2004 წელს გამოირიცხა უალტერნატივო არჩევნები, წინასწარი ხმის მიცემა; დამკვიდრდა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ახალი პრინციპი — საარჩევნო კომისიები ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, პოლიტიკური პარტიების წარდგინების საფუძველზე აირჩევა; შეიცვალა ამომრჩეველთა სიების შედგენის პრინციპიც: ამომრჩევლები სიებში იწერებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; დაწესებულია კანდიდატებისთვის მასმედიაში თანაბარი წვდომის გარანტიები; მნიშვნელოვნად გაფართოვდა ადგილობრივი და უცხოელი დამკვირვებლების უფლებები და სხვ.

ყაზახები მშვიდი, დინჯი, შრომისმოყვარე, კონსერვატული და თან რეფორმებისთვის გახსნილი ხალხია. ამიტომაც, ყაზახეთის მოქალაქეებმა მხარი დაუჭირეს ნაზარბაევის მიერ შემოთავაზებული ძალაუფლების თანდათანობით ტრანზიტს. ხალხმა ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი აღიქვა და დააფასა, როგორც ნაზარბაევის დიდი წამოწყებების ღირსეული გამგრძელებელი. სწორედ ეს და არა სხვა ფაქტორები, როგორც შიში, აპათია, პასიურობა, მერყეობა და სხვა მსგავსი რამ იმის მიზეზად გვევლინება, რომ ტოკაევი ძალიან პოპულარულია და, ალბათ, დიდი პრობლემების გარეშე გახდება ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი.

**რა არის ცნობილი ამ ადამიანის შესახებ?**

ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი დაიბადა 1953 წლის 17 მაისს მაშინდელი ყაზახეთის სსრ დედაქალაქ ალმა-ატაში, ინტელიგენტების ოჯახში. მამა — ქემალ ტოკაევი იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე და ცნობილი მწერალი, ასევე იყო ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. დედა ტურარ შაბარბაევა მუშაობდა ალმა-ატის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ტოკაევმა გამოავლინა უცხო ენების შესწავლის ნიჭი.

1970 წელს იგი ჩაირიცხა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში, მე-5 კურსზე ნახევარწლიანი სტაჟირებით გაიგზავნა სსრკ-ის საელჩოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 1975 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში თანამდებობაზე და გამწესებულ იქნა სინგაპურის რესპუბლიკაში საბჭოთა საელჩოში. 1979 წელს დაბრუნდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატში. 1983 წელს ჩინეთში გაიარა 10-თვიანი სტაჟირება, კერძოდ, ლინგვისტურ ინსტიტუტში. 1984-1985 წლებში მუშაობდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში შემდეგ ისევ ჩინეთში საბჭოთა საელჩოში გააგზავნეს, სადაც 1991 წლამდე იმუშავა მეორე მდივნის, პირველი მდივნისა და მრჩევლის თანამდებობებზე.

1991 წელს ჩაირიცხა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ აკადემიაში წამყვანი დიპლომატიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. 1992 წელს დაინიშნა ყაზახეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ. 1993 წელს დამოუკიდებელი ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ხდება, ხოლო 1994 წელს მინისტრად ინიშნება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია, როდესაც ჯერ კიდევ მსოფლიოსთვის ნაკლებად ცნობილი ყაზახეთი საჭიროებდა სწორად წარმოჩენას და მწყობრად მომუშავე დიპლომატიურ სამსახურს. ამ ამოცანას ტოკაევმა თავი შესანიშნავად გაართვა. იგი ასევე არის ყაზახეთის საგარეო პოლიტიკის მრავალვექტორობის ფუძემდებელი. **„ჩვენ დავიწყეთ ბუკვალურად, ცარიელი ფურცლიდან, დიპლომატიური სამსახური პრაქტიკულად არ არსებობდა, არ არსებობდა საერთაშორისო საქმეთა დამოუკიდებელი წარმოების გამოცდილება. ასე მოკლე პერიოდში შეძლო ჩვენმა ქვეყანამ, გაევლო გზა, რომელიც თანამედროვე ყაზახეთის ფუძემდებლის, პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ხატოვანი გამოთქმის თანახმად, ასწლეულს უდრის“,** — წერს ტოკაევი თავის წიგნში „სინათლე და ჩრდილი“. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ თანამდებობაზე იგი არ დანიშნულა მხოლოდ ერთხელ. 1999 წლის ოქტომბერში ტოკაევი გახდა ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი. მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე მისი მუშაობის დროს მოხდა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და ძვირი ნავთობსაბადოს — კაშაგანის ამოქმედება, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შექმნა, ყაზახეთის სახელმწიფო მოხელეთა რიგების გაახალგაზრდავება (2000 წელს მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო სამსახურის შესახებ“). ამ წლებში დაიწყო, როგორც აღნიშნავდა პრეზიდენტი ნაზარბაევი, „სტაბილური, ნორმალური და პროგნოზირებადი ცხოვრება“. 2001 წელს ყაზახეთი გახდა პირველი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც კაპიტალების ამნისტია გამოაცხადა. იმავე წლის ნოემბერში ექსპლუატაციაში შევიდა კასპიის მილსადენების კონსორციუმი (KTK).

2007 წლის 11 იანვრიდან 2011 წლის 5 აპრილამდე ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი სათავეში ედგა პარლამენტის სენატს. იგივე თანამდებობა მან 2013 წლის 16 ოქტომბერს კვლავ დაიკავა. **„დაბეჯითებით არ ვეთანხმები იმ მმართველ კადრებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მთავარია, დავალებები გადაანაწილო შენს თანამშრომლებს შორის. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, შრომით პროცესში ბოლომდე არ ერთვებიან და სამსახურებრივ დოკუმენტებთან გასაცნობადაც კი ვერ იცლიან. ჩემთვის მიუღებელია თვითდაჯერებული უფროსი, რომელიც თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს, მოადგილეებს „მოუჭიროს ხელი“. მათი აზრით, რაც უფრო „მძიმეა“ ხელი, მით უფრო მეტ პატივისცემას მიიღებს მისი პატრონი. სინამდვილეში კი ასეთ უფროსობას არათუ პატივს არ სცემენ, არამედ, უბრალოდ, ეზიზღებათ კიდეც. მართლაც, ვის აინტერესებს დღედაღამ დაიკარგოს სამსახურში და ამზადოს ცნობები თავისი უნიათო უფროსისათვის ან უწეროს მას გამოსვლის ტექსტები და სტატიები. ასეთი ვაი-მინისტრების მხრიდან თავიანთი მმართველობითი მუშაობის ფარგლებში „სისტემურობაზე“ აპელირება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს სუსტი გამართლებ საკუთარი სიზარმაცისა“,** — ამბობს ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი.

იგი ასევე აღნიშნავს, რომ პრინციპი — **„ვიცოდე და შემეძლოს ჩემს ხელქვეითებზე მეტი“,** მას ძალზე ეხმარებოდა დიპლომატიური უწყების თანამშრომლებთან ურთიერთობებში. მისი ხელმძღვანელობის დროს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში ხელს უწყობდნენ ნიჭიერ დიპლომატებს სამსახურებრივი წინსვლით ან უცხოეთში საელჩოებში მივლინებებით. 1994 წლის ოქტომბრიდან დაწყებული 2007 წლის იანვრის ჩათვლით, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გატარებულ ორ წელიწადს, ტოკაევის მოადგილედ 23-მა ადამიანმა მოასწრო მუშაობა. **„გარედან შეიძლება, ისე ჩანდეს, რომ ეს იყო კადრების მერყეობა, ფლუქტუაცია, მაგრამ მე სხვანაირად მიმაჩნდა: აუცილებელი იყო, ადამიანებს მისცემოდათ შესაძლებლობა, გამოევლინათ თავი დამოუკიდებელ სამუშაოზე ელჩებად, ნაცვლად მათი „ექსპლუატირებისა“ და მათგან ჩემი ინტერესებისთვის მთელი „წვენის“ გამოწურვისა. ამიტომ, სახელმწიფოს მეთაურს უცხოეთში ელჩებად მოღვაწეობისთვის რეკომენდაციით წარვუდგინე მინისტრის მოადგილეებისა და დეპარტამენტების დირექტორების დიდი ჯგუფი. ჩემ მიერ რეკომენდებული დიპლომატების უმრავლესობამ გამართლა, და არ შეიძლება, მე ეს არ მახარებდეს“.**

კოლეგები ტოკაევზე საუბრობენ, როგორც თავშეკავებულ, ინტელიგენტ პოლიტიკოსზე, რომელსაც არ უყვარს პირად ცხოვრებაზე საუბარი. ყველას ხიბლავს მისი იუმორის გრძნობა. **„გასაგები მიზეზების გამო მე არ შემიძლია, ამ წიგნში გადმოვცე წარსულში წარმოებული დისკუსიებისა და მოლაპარაკებების სრული შინაარსი, რადგან განიხილებოდა კონფიდენციალური საკითხები. ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ჩემი სამსახურებრივი დახასიათება ჩინეთში მივლინების დასრულების შემდეგ, სადაც ჩამოთვლილი იყო ჩემი, როგორც საბჭოთა საელჩოს თანამშრომლის, დადებითი მხარეები და ეს დახასიათება სრულდებოდა ფრაზით: „შეუძლია სახელმწიფო საიდუმლოების შენახვა“. ამიტომ, ამ მრავალმნიშვნელოვანი დახასიათების ავტორს იმედს არ გავუცრუებ“,** — იხსენებს იგი, როდესაც წერს ვაშინგტონში ჯორჯ ბუშთან ნურსულთან ნაზარბაევის მოლაპარაკებების შესახებ.

თავის მოღვაწეობას ტოკაევი მაინც აქტიურად აშუქებს. მას 2011 წლიდან აქვს პროფილი „ტვიტერში“ ყაზახურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ფლობს ხუთ ენას. დაწერილი აქვს 10 წიგნი საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, ეს წიგნები თარგმნილია რამდენიმე ათეულ უცხო ენაზე. ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტი ტოკაევი დარეგისტრირდა „ინსტაგრამზეც“. არის ჯანსაღი ცხოვრების წესის მომხრე. 13 წლის განმავლობაში იყო ყაზახეთის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. უყვარს მხატვრული, პოლიტიკური და სამემუარო ლიტერატურის კითხვა. უფრო მკაფიოდ ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი დაახასიათა რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ყაზახი ხალხისადმი მიმართვაში. **„ჩემთან ერთად იგი მუშაობს ყაზახეთის დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდან. მე მას კარგად ვიცნობ, ის არის პატიოსანი, პასუხისმგებლობით სავსე, სიტყვის შემსრულებელი ადამიანი. მთლიანად უჭერს მხარს ამჟამინდელ პოლიტიკას ქვეყნის შიგნით და გარეთ. ყველა პროგრამა შემუშავებულია მისი მონაწილეობით. მე მჯერა, რომ ტოკაევი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც შეგვიძლია, ვანდოთ ყაზახეთის მართვა“,** — განაცხადა ნურსულთან ნაზარბაევმა.

დაბეჯითებით შეიძლება, ითქვას, რომ ყაზახეთს ჰყავს ძალზე ღირსეული საპრეზიდენტო კანდიდატი-ფავორიტი, ეს სახელმწიფო მომავალშიც გააგრძელებს მსოფლიოს მასშტაბით მშვიდობის პოლიტიკის გატარებას. ჩვენ, საქართველოში მცხოვრებთ, შეგვიძლია, გვქონდეს ქართულ-ყაზახური მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღრმავების იმედი ყველა ძირითადი მიმართულებით.

**გულბაათ რცხილაძე**

# ᲙᲘᲜᲩᲮᲐᲨᲘ ᲝᲙᲐᲪᲔᲡ ᲩᲐᲜᲩᲭᲔᲠᲖᲔ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲒᲐᲡᲐᲛᲛᲐᲒᲓᲔᲑᲐ!

**ᲝᲙᲐᲪᲔᲡ ᲩᲐᲜᲩᲭᲔᲠᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲖᲔ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲙᲝᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲐᲛ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲛᲐᲒᲔᲑᲡ,** — ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲛ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲙᲘᲜᲩᲮᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲐ.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲖᲔ, ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ, ᲕᲘᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ, ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ �გᲐᲓᲐᲡᲐᲮᲔᲓᲘ �პᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲣᲚᲡ ᲮᲓᲘᲡ. ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ 1 100 000 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲐ.

**„ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲔᲗ ᲝᲙᲐᲪᲔᲡ ᲙᲐᲜᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲡ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲙᲘᲜᲩᲮᲐᲨᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲙᲝᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ, ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ ᲒᲐᲕᲐᲡᲐᲛᲛᲐᲒᲔᲑᲗ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲡ ᲐᲛ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ“,** — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ. ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲝᲙᲐᲪᲔᲡ ᲩᲐᲜᲩᲭᲔᲠᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲖᲔ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ.

# ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ!

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** **ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲮᲐᲢᲘᲐ ᲬᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ „ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲗᲐᲜ“ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲖᲘᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ.** მისი განმარტებით, ამაზე არანაირი შეთანხმება არ არის და ბირთვული და რადიაციული ნარჩენების საკითხთან ნებართვების გაცემაზე საუბარი საქართველოსა და სომხეთს შორის, არც ერთ დონეზე ყოფილა.

**„სომხეთის მხრიდან რამდენჯერმე იყო გაჟღერებული სურვილი, რომ საქართველო ამ ნარჩენების გადასატანად როგორც ტრანზიტი ისე ყოფილიყო გამოყენებული. თუმცა, ჩვენთან ამ თემაზე არც მომართვა და შესაბამისად, არც განხილვა არ ყოფილა“,** — აცხადებს წილოსანი.

კითხვაზე, დღის წესრიგში საკითხის დადგომის შედეგად, შესაძლოა თუ არა საქართველომ განიხილოს სომხეთიდან სახიფათო ნარჩენების გატანაზე თანხმობა, წილოსანი პასუხობს — არა, რადგან კანონით, ბირთვული და რადიაციული ნარჩენების ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით დაშვებული არ არის.

**„საერთაშორისო კონვენციები თვითონ აძლევს ქვეყანას უფლებას თვითონ გადაწყვიტოს, ეროვნულ კანონმდებლობაში როგორი გადაწყვეტილება იქნება მისთვის სასარგებლო. შესაბამისად, ჩვენმა ეროვნულმა კანონმდებლობამ დაარეგულირა ეს საკითხი იმგვარად, რომ საქართველოს ტერიტორიის გამოყენება დაშვებული არ არის. ჩვენთან კანონში ამკრძალავი მუხლია ჩადებული და იგულისხმება, რომ არ შეიძლება ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება საშიში ნივთიერებების გადასაზიდად“,** — აცხადებს წილოსანი.

რამდენად საფრთხის შემცველია საქართველოს ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების გატანა, მინისტრის მოადგილე განმარტავს, რომ უსაფრთხოა, თუ დაცული იქნება გადაზიდვის სათანადო პირობები.

როგორც ცნობილია, სომხურ გამოცემა „ნოვაია ვრემიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში დაიწერა, რომ სომხეთი ბირთვული საწვავის ნარჩენების საქართველოს გავლით ტრანსპორტირებას ითხოვს.

**„ამ ეტაპზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის პოზიცია უცნობია, თუმცა ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ რადიოაქტიური უსაფრთხოების ქართულ კანონში ამას წინათ ცვლილებები შევიდა — ადრე კანონი ქვეყნის ტერიტორიაზე ბირთვული ნარჩენების გადაზიდვას კრძალავდა, ახლა კი მოთხოვნები შერბილებულია. ეს პრაგმატული მიდგომაა: თუ საქართველო დათანხმდება სომხეთის თხოვნას, მაშინ თბილისი ერევნისგან იოლად მიიღებს მნიშვნელოვან თანხას. მთავარია, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს ქართველმა ლიდერებმა ანგარიში გაუწიონ არა სპეკულაციურ, არამედ რეალურ არგუმენტებს. იმედია, საქართველოს ხელმძღვანელობა მოახერხებს ბაქოს ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გაწევას“,** — წერია სტატიაში.

**ᲡᲝᲤᲝ ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲘ**

# ᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲠᲘᲙᲝᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ

**ᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐ ᲛᲖᲐᲝᲑᲐ, ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲠᲘᲙᲝᲗᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ,** — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲨᲘᲥᲡᲘᲜ ᲩᲔᲜᲡ (Shixin Chen) ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ. ᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲖᲔ, ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲛᲝᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲠᲘᲙᲝᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲨᲔᲗᲘ-ᲙᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ.

**„ᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, �გᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲐ, ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ, ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲖᲠᲓᲐᲡ“,** — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ.

ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

# ᲕᲔᲫᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲕᲘᲞᲝᲕᲘᲐ

**ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ“ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ 9 ᲛᲐᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲛᲘᲝᲓᲔ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ Ა�კᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ �თᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲞᲝᲥᲐᲚᲣᲠᲘ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ 74-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ.**

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲘᲫᲕᲜᲘᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲓᲘᲐᲮᲐᲪ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲘᲛ ᲔᲠᲘᲡ�გᲐᲜ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔ �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡᲘ ᲐᲩᲣᲥᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲘᲡᲘᲪ ᲕᲘ�კᲘᲗᲮᲝᲗ, ᲐᲥᲕᲗ ᲙᲘ ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲚᲝᲟᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲭᲘᲛᲕᲘᲡ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ ᲓᲐᲨᲢᲐᲛᲞᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲖᲔ, ᲘᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲐᲓ ᲗᲐᲕᲡᲛᲝᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲬᲔᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲤᲠᲗᲮᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲔᲡ ᲫᲚᲔᲕᲐᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲡᲕᲔᲢᲘᲡ — 1121 ᲬᲚᲘᲡ 12 Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ — ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲐᲓ �გᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ, ᲐᲜ თᲣᲜᲓᲐᲪ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲑᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲡ ᲚᲝᲛᲘᲡ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ, ᲘᲛ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲓᲐᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲣᲛᲢᲙᲘᲪᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲣᲙᲕᲔ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲕᲔᲠ ᲕᲓᲐᲕᲘᲗᲝᲛᲑᲗ, ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲪ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ, ᲙᲐᲪᲛᲐ ᲠᲝᲛ თქვას, ᲓᲔᲜᲗᲘᲡ ᲙᲐᲡᲠᲗᲐ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲖᲘᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ — ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲒᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲐᲓ (ᲑᲔᲕᲠᲡ — ᲫᲛᲐᲓᲐᲪ) ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲓᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲕᲘᲓᲒᲔᲗ, ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲜᲐ-ᲡᲘᲡᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲥᲝ ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲩᲘᲜᲘᲕᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲠᲣᲚ ᲨᲐᲜᲡᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲩᲐᲜᲐᲡᲐᲮᲨᲘᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲞᲝᲑᲓᲔᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ...

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲕᲔᲡᲛᲘᲡ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲤᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐ — ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ, ᲐᲥᲕᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲐ, — ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ თავშიც ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲫᲔᲑᲝᲗ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲒᲕᲘᲞᲝᲕᲘᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ?

**ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

◎ იმედი

# კარპატული „ოქრო“

**რუმინულ კლუჟში დასრულებულ გონგონათა ევროპის თასის გათამაშებას ნინო გულბანის (70 კგ) სახით ქართველი გვირგვინოსანი ჰყავს.**

კახაბერ მოცრაძის 14 წლის კიმონოიანმა შეგირდმა ვლახურ ტატამზე გამართული ოთხი ბრძოლიდან სამი — ანასტასია სკვორცოვასთან (ბელარუსი), ალისა ვედენეევასა (უკრაინა) და ფინალში ნიკოლეტ საგისთან (უნგრეთი) იპონებით მოიგო, ხოლო ნახევარფინალი ჰოლანდიელ ესმე შერენბერგთან — ვაზარით.

სულ კარპატისპირეთში თორმეტმა ნორჩმა „ჯვაროსანმა“ ძიუდოისტმა იასპარეზა.

**გეჟან დოლიძე**

◎ თაობა

# მედალოსანია ტრიო

**საქართველოს ცხრა წარმომადგენელი მონაწილეობდა აზერბაიჯანში გამართულ ჭაბუკ მოკრივეთა ჰეიდარ ალიევის თასის გათამაშებაში და მათგან სამი სამშობლოში სხვადასხვა სინჯის ჯილდოთი დაბრუნდა.**

განსაკუთრებით გვასახელა გიორგი საჯაიამ



(54 კგ), რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა იბრაჰიმ ოტჩუ (თურქეთი), რინგის მასპინძელი ელმარ აბასოვი, ისლამ მახაჩევი (ყაზახეთი) და ოქროს მედალი მოიპოვა.

თანატოლთა ასპარეზობის მესამე პრიზიორები გახდნენ: გიორგი ახალაია (63 კგ) და თორნიკე ჯიოშვილი (-80 კგ), ხოლო ჩვენი სპორტული დელეგაციის დანარჩენი წევრები — შალვა სადუკოვი, ავთო ტყემალაძე, გიორგი დათუაშვილი, ლადო ქარჩავა, საბა კვინიკაძე და ჯონი ჭკადუა საპატიო კვარცხლბეკს მიღმა დარჩნენ.

◎ ჩოგბურთი

# პირველი და უკანასკნელი

**მსოფლიოს მე-18 ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი მე-14 ნომრად იყო განთესილი მადრიდის „მასტერსზე“ და ვიმედოვნებდით, რომ შარშანდელ შედეგს გააუმჯობესებდა, მაგრამ შევცდით.**

თუ მაშინ ჩვენი თანამემამულე ტურნირს სტარტიდანვე გამოეთიშა ფრანგ გაელ მონფილსთან მარცხის გამო, ამჯერად, ასევე პირველ წრეში, მას ამერიკელმა ფრენსის ტიაფომ სძლია, რომელიც საერთაშორისო კლასიფიკაციაში 31-ე პოზიციას იკავებს — 7:6, 3:6, 4:6.

ეს პროფესიულ ტურში აღნიშნულ მეტოქეთა პირველი შეხვედრა იყო.

**მანუჩარ გიორგაძე**

## საფეხბურთო მოზაიკა

**საქართველოს XXXI ჩემპიონატი. ეროვნული ლიგის XI ტური. „საბურთალო“ — „ლოკომოტივი“ — 1:0, „ტორპედო“ — „ბათუმი“ 3:2, „დინამო“ — „სიონი“ 5:1, „დილა“ — „ჩიხურა“ 2:0, „ვიტ ჯორჯია“ — „რუსთავი“ 2:3.**

**სატურნირო მდგომარეობა:** „საბურთალო“ — 24, „ბათუმი“ — 22, „დინამო“, „ტორპედო“ — 20-20, „ჩიხურა“ — 15, „დილა“, „სიონი“ — 14-14, „ვიტ ჯორჯია“ — 11, „ლოკომოტივი“ — 9, „რუსთავი“ — 6 ქულა.

**ბომბარდირი:** უგულავა („სიონი“) — 8 გოლი.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“, „რუსთავი“ — „საბურთალო“ (10 მაისი), „სიონი“ — „დილა“, „ჩიხურა“ — „ვიტ ჯორჯია“, „ბათუმი“ — „დინამო“ (11 მაისი).

* * *

**იტალია.** „იუვენტუსი“ — „ტორინო“ 1:1, „ნაპოლი“ — „კალიარი“ 2:1, „უდინეზე“ — „ინტერი“ 0:0, „ლაციო“ — „ატალანტა“ 1:3, „ჯენოა“ — „რომა“ 1:1.

**ესპანეთი.** „სელტა“ — „ბარსელონა“ 2:0, „ესპანიოლი“ — „ატლეტიკო“ 3:0, „რეალი“ — „ვილიარეალი“ 3:1, „ხეტაფე“ — „უირონა“ 2:0, „უესკა“ „ვალენსია“ 2:6.

**ინგლისი.** „ნიუკასლი“ — „ლივერპული“ 2:3, „ჩელსი“ — „უოტფორდი“ 3:0, „ბორნმუთი“ — „ტოტენჰემი“ 1:0, „არსენალი“ — „ბრაიტონი“ 1:1, „ჰადერსფილდი“ — „მანჩესტერი“ 1:1.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „ჰანოვერი“ 3:1, „ვერდერი“ — „დორტმუნდი“ 2:2, „მაინცი“ — „ლაიფციგი“ 3:3, „ლევერკუზენი“ — „აინტრახტი“ 6:1.

**გიორგი ზოთაძე**

◎ ლეგიონერი

# კარგი შვილი...

**ესპანეთის ჩემპიონატის რეგულარული სეზონის ფინიშამდე ოთხი ტურით ადრე თორნიკე შენგელიას „ბასკონიამ“ შინ 81:72 სძლია „მანრესას“ და ერთ მოგებამდე შეამცირა ჩამორჩენა ლიგა ენდესას მარადიულ ფავორიტებთან — „რეალთან“ და „ბარსელონასთან“ — 23 გამარჯვება, 7 წაგება.**

მასპინძელთა კაპიტანმა და ლიდერმა 24 წუთში 14 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა, მაგრამ უფრო ფასეულად ის წარწერა მიგვაჩნია, რომელიც მის მაისურზე იკითხებოდა. იქაური დედის დღის აღსანიშნავად „ჯვაროსნის“ ზურგს თევზაძე ამშვენებდა.

ხომ არ გადმოგვეღო?

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

# ამიერიდან - „არმაზიც“

**გაირკვა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის დიდ ფინალში რეგულარული სეზონის გამარჯვებულ „ბათუმის“ მეტოქე.**

ესაა რუსთავის „ხარები“, რომელმაც დიდი 10-ის წინასწარ ფინალში შინ გამართული დრამატული ბრძოლა მოუგო ასე მაღლა პირველად აფრენილ აწ უკვე ბრინჯაოს პრიზიორ მარნეულის „არმაზს“ — 27:21.

აღსანიშნავია, რომ 12 მაისს დასკვნით რაუნდში საკუთარი მოედნის უპირატესობა ზღვისპირელებს ექნებათ.

**კობა კობახიძე**

## სულთათანა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ფიზიკოსი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი

**ალექსი გერასიმოვი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

## ალექსი გერასიმოვის ხსოვნას

# ქართული მეცნიერების მძიმე დანაკლისი

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსი გერასიმოვი.**

ალექსი გერასიმოვი დაიბადა 1936 წლის 26 აპრილს. 1943-1954 წლებში სწავლობდა თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა ოქროს მედლით. 1954-1959 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ განაგრძო სწავლა ასპირანტურაში პროფესორ იონა მირცხულავას ხელმძღვანელობით. 1959-1965 წლებში იყო მივლინებული ლენინგრადის ა. იოფეს სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის არაწონასწორული მოვლენების ლაბორატორიაში, სადაც მუშაობდა პროფესორ ს. მ. რივკინის ხელმძღვანელობით.

1962-1965 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელია, ხოლო 1965-1976 წლებში — ნახევარგამტარულ ხელსაწყოთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე; 1976-1982 წლებში მუშაობდა სამეცნიერო-საწარმო გაერთიანება „მიონის“ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში და მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 1982 წელს აკადემიკოს ირაკლი გვერდწითელის თაოსნობით ალექსი გერასიმოვი სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკის კათედრას და ნახევარგამტარული მიკროელექტორინიკის ფიზიკური საფუძვლების სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას, რომელთაც ხელმძღვანელობდა 2006 წლამდე; 2006-2010 წლებში ა. გერასიმოვი აშშ-ში (ქ. სიეტლი) არსებული „ლიქუიდ ლაით, ინკ.“ ლაბორატორიის თბილისის ფილიალის — „გერასიმოვ რისერჩ ლაბორატორის“ აღმასრულებელი დირექტორია; 2010 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორია.

ფართო და მრავალმხრივი იყო პროფესორ ალექსი გერასიმოვის სამეცნიერო ინტერესების სფერო, რომელიც მოიცავდა ნახევარგამტარებისა და მყარი სხეულების ფიზიკას, მიკრო და ნანოტექნოლოგიას, რადიაციულ ფიზიკას. ბოლო წლებში ინტენსიურად ავითარებდა მის მიერ შემოთავაზებულ მოლეკულურ-პოტენციურ თეორიას. ამ მიმართულებებით მას გამოქვეყნებული აქვს 232 სამეცნიერო ნაშრომი, 3 მონოგრაფია, იყო 10 საავტორო უფლებისა და პატენტის მფლობელი, არის სამეცნიერო აღმოჩენათა საერთაშორისო ასოციაციის მიერ აღიარებული სამეცნიერო აღმოჩენის ავტორი. უნივერსიტეტში მოღვაწეობის განმავლობაში მან აღზარდა ფიზიკოსების არაერთი თაობა, მისი ხელმძღვანელობით შესრულებული იყო ოცზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. იყო ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველოში ჩატარებული რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციისა, როგორც მიკროელექტრონიკის და ნახევარგამტარული ხელსაწყოთმშენებლობის მიმართულებით, ასევე უკანასკნელ წლებში, ნანოტექნოლოგიის და თანამედროვე ნანომასალათმცოდნეობის დარგში. ალექსი გერასიმოვის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა აღნიშნული იყო, როგორც სახელმწიფო ჯილდოებით, ასევე საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ილია ვეკუას სახელობის პრემიით.

ალექსი გერასიმოვი იყო მრავალმხრივი, ფართო დიაპაზონის ერუდირებული პიროვნება, ჭეშმარიტი სპორტსმენი — კალათბურთში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი. ალექსი გერასიმოვი გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი პოზიციით. 1997-2003 წლებში იგი საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეა ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საკითხებში.

სიცოცხლის ბოლო წლებში, დიდი პირადი ტრაგედიის გადატანის შემდეგ, ალექსი გერასიმოვი გახდა ღრმად მორწმუნე ქრისტიანი. წლების განმავლობაში გახლდათ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის წევრი; 2012 წელს მის მიერ წაკითხული შესანიშნავი მოხსენებით, „მართლმადიდებლური სწავლება და მეცნიერება“, სათავე დაედო ცენტრის მუდმივმოქმედ სემინარს „ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში“; თემატიკას „სარწმუნოება და მეცნიერება“ იგი სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა. ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სემინარებსა და სიმპოზიუმებში ბატონი ალექსის აქტიური მონაწილეობა და განუმეორებელი პიროვნული ხიბლი მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა საერთო საქმის წარმატებას.

ალექსი გერასიმოვის — ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მეცნიერისა და პიროვნების ხსოვნა მუდამ დარჩება ახლობლების, მოწაფეების, კოლეგებისა და მეგობრების გულში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი ფიზიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ილია ვეკუას სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი

**ალექსი გერასიმოვი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

# ამოღებულია ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები

**საბაჟო** გამშვებ პუნქტში „ქუთაისის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, რუსეთის მოქალაქე ბ.ნ-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად, ნარკოტილული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი — 50 აბი გამოავლინეს.

ფაქტზე გამოძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველო აწარმოებს.

# ირანის მოქალაქეებს 16-16 წელი მიუსაჯეს

**რუსთავის** საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შენახვასა და საქართველოში უკანონოდ შემოტანისთვის ბრალდებულები, ირანის რესპუბლიკის ორი მოქალაქე დამნაშავედ ცნო.

ირანის რესპუბლიკის მოქალაქეებმა პ.გ.-მ და ს.გ.-მ უკანონოდ შეიძინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები და სხეულში დამალვის გზით, 2018 წლის 4 დეკემბერს უკანონოდ შემოიტანეს საქართველოში. პ.გ.-მ 8 აბი (0.1922 გრ.) ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ და 51,3823 გრ „ჰეროინი“, ხოლო ს.გ.-მ 51,2325 გრ. „ჰეროინი“.

სამართალდამცველებმა ორივე პირი იმავე დღეს ქ. რუსთავში დააკავეს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ პ.გ. და ს.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად, დანაშაულთა ერთობლიობით 16-16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ოკუპანტებმა 80 წლის მამაკაცი გაიტაცეს



**სოფელ** ქვეშეთში ამბობენ, რომ ამირან მელაძე სატაცურის საკრეფად კვირას წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

ამირან მელაძის გატაცების ფაქტს ადასტურებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. უწყებაში ამბობენ, რომ მამაკაცი ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით არის დაკავებული და ის ცხინვალის იზოლატორში მოათავსეს.

გატაცების მორიგ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმირებულია ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება და საერთაშორისო მისიების წარმომადგენლები.

# სტიქია ახმეტის მუნიციპალიტეტში

**უამინდობამ** ახმეტის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს პრობლემები შეუქმნა. უხვი ნალექის გამო ადიდებულმა მდინარე ალაზანმა ჯებირები გაარღვია და კალაპოტიდან გადმოვიდა. დატბორილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, დაზიანებულია სოფლის შიდა გზები.

სტიქიამ ყველაზე მეტად ილტოს და ორვილის ხეობის მიმდებარე ტერიტორია დაზიანა.

სტიქიის ზონაში მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადლები. ადგილზე მობილიზებული იყო ტექნიკა. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები ამ დრომდე ინტენსიურად მიმდინარეობს.

## განცხადება №2

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის საანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28 მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2001 წლის 23 აპრილს გარდაცვლილი ბატონი ალექსანდრე ვასილის ძე პავლოვსკის (დაბ. 23/03/1925 წ. გარდაცვალების მოწმობა II-AK №760920) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუჩა ნონეშვილის №45 (ს/კ 05.30.09.048) 1/4 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28.

# ქართული ფილმების რეტროსპექტივას ბოსტონი უმასპინძლებს

**23-26 მაისს ბოსტონის სახვითი ხელოვნების მუზეუმი ქართული ფილმების რეტროსპექტივას უმასპინძლებს. ღონისძიება New Wave Now: Georgia Independent Voice საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს და Ballets Russes Arts Initiative მხარდაჭერით იმართება და იგი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს – 26 მაისს ეძღვნება.**




ბოსტონში ქართული ფილმების ჩვენება შემდეგი პროგრამით მოხდება:

23 მაისი – **„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (რეჟისორები: ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი);**
24 მაისი – **„აღსარება“ (რეჟისორი: ზაზა ურუშაძე);**
25 მაისი – **„ხიბულა“ (რეჟისორი: გიორგი ოვაშვილი);**
25 მაისი – **„ჩვენი სისხლი ღვინოა“ (რეჟისორი: ემილი რეილსბექი);**
26 მაისი – **„სავარძელი“ (რეჟისორი: ელდარ შენგელაია).**

# წლის ბოლოსთვის ბათუმელებს ახალი სტადიონი ექნებათ

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან ჯაბა ფუტკარაძესთან ერთად ბათუმის საფეხბურთო სტადიონის სამუშაოების მიმდინარეობა დაათვალიერა. თორნიკე რიჟვაძის თქმით, ქალაქისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტი წლის ბოლომდე დასრულდება.**

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფასადის არქიტექტურულ მემბრანაზე ლითონის კონსტრუქციის მონტაჟი და შიდა მოპირკეთების სამუშაოები. საინჟინრო კომუნიკაციის მონტაჟის 90% დასრულებულია. დასკვნით ეტაპზეა სტადიონის სახურავის გადახურვის სამუშაოები.

**„მოგეხსენებათ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ დაანგრია სტადიონი, რომელიც ჰქონდა ბათუმს. სწორედ, ჩვენი ხელისუფლების დროს მოხდა შესაბამისი ფინანსური რესურსის მობილიზება, გამოცხადდა ტენდერი და ვხედავთ, რომ დღეის მდგომარეობით, სტადიონის ძირითადი ნაწილი თითქმის დასრულებულია. მინდა, მივულოცო ეს ამბავი ბათუმელებს, განსაკუთრებით ფეხბურთის გულშემატკივრებს.**

**სკამების ფერზეც უკვე ჩამოყალიბებულნი ვართ და ისინი იქნება იმ ფერის, როგორიც ბათუმის დინამოს და მათ გულშემატკივრებს გაუხარდებათ. დარწმუნებული ვარ, ეს სტადიონი არაერთ საინტერესო საფეხბურთო და არასაფეხბურთო სპორტულ ღონისძიებას უმასპინძლებს“,** – განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

უახლოეს პერიოდში დაიწყება სკამების მონტაჟისთვის ტრიბუნების მომზადება, მინდვრის საფარის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები და განათება-გახმოვანების სისტემის დამონტაჟება. სტადიონის მშენებლობაზე ამ ეტაპზე 450 ადამიანია დასაქმებული.

სტადიონი 20 000 მაყურებელზეა გათვლილი.

# ჩაის ფესტივალი ოზურგეთში

**ქართული ჩაის ოცამდე მწარმოებელი ჩაერთო ადგილობრივი წარმოების ჩაის პირველ ფესტივალში, რომელიც ქალაქ ოზურგეთში 2019 წლის კვირას გაიმართა.**

ფესტივალის ერთ-ერთი მხარდამჭერის, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)ხელმძღვანელის ლუიზა ვინტონის თქმით, ადგილობრივი ინიციატივების საქართველოს რეგიონების მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ოზურგეთის ფესტივალი ჩაის გზის პროექტის შემადგენელია, რომელიც საქართველოში ჩაის მოყვანის კულტურის აღორძინებას, ადგილობრივ წარმოებასა და ტურიზმის განვითარებას ემსახურება.

საქართველოს ორგანული ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ინიციატივით, ფესტივალის ფარგლებში ჩაის ოსტატთა ეროვნული ჩემპიონატი გაიმართა. ასევე ჩატარდა კონფერენცია ქართული ჩაის საწარმოო და ტურისტული პერსპექტივების შესახებ. ფესტივალის მონაწილეებმა ეთნოგრაფიული კუთხე მოინახულეს და ადგილობრივი წარმოების პროდუქტები დააგემოვნეს.

# ემიგრანტებო, მე თქვენთვის ვიმღერებ!

**ოთო ნემსაძე საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემიგრანტებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს და მიმართვის ვიდეოს სოციალურ ქსელ ფეისბუქში ავრცელებს.**

**„მოგესალმებით საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებო ქართველებო. მინდა, გთხოვოთ, რომ ერთად დავუდგეთ ჩვენს ქვეყანას გვერდში. წელს საქართველოს ევროვიზიაზე წარვადგენ და თქვენი მხარდაჭერა ყველაზე მნიშვნელოვანია. მე თქვენთვის ვიმღერებ“,** – ამბობს ოთო ნემსაძე.

ევროვიზიის პირველი ნახევარფინალი დაიწყება სამშაბათს, 14 მაისს, ცენტრალური ევროპის დროით 21 საათზე.

# ბორჯომში ტყის მასივის აღდგენა გრძელდება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბორჯომის ხეობაში, სოფელ დაბაში, 2008 და 2017 წლებში ხანძრით დაზიანებული ტყის აღდგენის საგაზაფხულო სამუშაოებს აგრძელებს.

**„ბორჯომის ხეობაში პირვანდელი ტყის სრული ეკოსისტემის აღდგენას წლები სჭირდება. ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, შემუშავებული პროექტის საფუძველზე, 2018 წელს 144-ჰა ფართობზე უკვე განახორციელა დარგვის სამუშაოები. ჯამში შემოდგომაზე, 250 ათასამდე ნერგი დაირგო. გაზაფხულზე ტყის აღდგენის პროექტს ასევე 144 ჰა ფართობზე ვაგრძელებთ. წიწვოვანთან ერთად, ფოთლოვანი სახეობის ნერგებიც დაირგვება. მნიშვნელოვანია, რომ აღდგენით სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობაა ჩართული“,** – განაცხადა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა არჩილ ნიკოლეიშვილმა.

პროექტის ძირითადი მიზანი ხეობაში პირვანდელი ტყის ეკოსისტემის აღდგენაა, რისთვისაც მხოლოდ ადგილობრივი, ტყის დროებით სანერგეებში გამოყვანილი ნერგი გამოიყენება.

# დრონის შესაძლებლობები იზრდება

**ხილის დაკრეფაში ამიერიდან დრონებიც ჩაერთვებიან. ისრაელში კომპანია Tevel Aerobotics Technologies-მა წარმოადგინა უპილოტო საფრენი საშუალების პროტოტიპი, რომელსაც ხილის სწრაფად და ეფექტურად დაკრეფა შეუძლია. კომპანიის მენეჯმენტი ამბობს, რომ ხილის შეგროვების მხრივ მუშახელის სიმცირე შეინიშნება. მათი ინფორმაციით, აღნიშნული პრობლემა მთელს მსოფლიოს აწუხებს.**

40-დან 80 სმ-მდე დრონი ელექტრონულ ძრავაზე მუშაობს, რომელიც მთლიანადაა ავტომატიზირებული.

# მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7070; ევრო - 3.0194;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5183;
100 რუბლი - 4.1400; თურქული ლირა - 0.4532;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5971;
1000 სომხური დრამი - 5.6302.

## ამინდი 7 მაისისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე | +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე | +25 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +13 | დღე | +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე | +29 |
| თბილისი: | ღამე | +12, | დღე | +28 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge